ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

შაბათი 9 ივნისი № 64 (11550) 1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.


## ყრილობის მეორე ეტაპის წინ

### გულახდილობისა და საჯაროობის სულისკვეთებით

5 ივნისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი.

საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის მეორე ეტაპის მოსამზადებელი მუშაობისა და სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებთან მუშაობის გეგმების, რესპუბლიკის კომპარტიის პროგრამის და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტის განხილვის წესის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ ნუგზარ საჯაიამ.

იდეოლოგიური მუშაობის მიმდინარე საკითხებზე ილაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგემ გივი თალაკვაძემ. რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობაზე გაამახვილა ყურადღება თავის ინფორმაციაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა გივი ბაკურაძემ.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე.

საგნობრივი სჯა-ბაასი გაიმართა თათბირზე დიდი და დაძაბული მუშაობის გამო, რომელიც ყრილობის ინიციატივით ახლა წარმოებს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის კონსტიტუციური მექანიზმის შექმნისათვის.

აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ თავისი ყრილობისათვის მზადების პერიოდში საქართველოს კომპარტიამ წამოაყენა ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ინტერესებს. ყრილობისწინა დისკუსიის შედეგი გახდა ალტერნატიულ საფუძველზე შემუშავებული საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითად დებულებათა პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია ყრილობის დელეგატთა შენიშვნები და წინადადებანი, ახლა გამოგვაქვს განსახილველად პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. ძალზე საჭიროა, ყველაფერი ისე გავაკეთოთ, რომ გაიმართოს ნამდვილად საქმიანი, კონსტრუქციული აზრთა გაზიარება პროექტის საპროგრამო დებულებებზე, რომლებიც შემდგომში საქართველოს კომპარტიის საქმიანობის პრინციპული საფუძველი უნდა გახდეს.

თათბირის მონაწილეებს გააცნეს მთელი რიგი სხვა საკითხებიც, რომლებიც საზოგადოებრიობას აწუხებს. კერძოდ, ლაპარაკი იყო მესხეთელ თურქებზე, იმაზე, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გავრცელდა ხმები, თითქოს ისინი აპირებდნენ თვითნებურად გადმოლახონ საქართველოს საზღვარი, რათა მის ტერიტორიაზე დასახლდნენ, სრულიად გარკვეულად აღინიშნა: მთავრობის, ისევე როგორც საქართველოს სსრ რესპუბლიკის მოსახლეობის პოზიცია ამ საკითხში უცვლელი რჩება — რესპუბლიკას არა აქვს არავითარი შესაძლებლობა დააკმაყოფილოს ეგრეთ წოდებული მესხეთელი თურქების მოთხოვნები, ამასთან ამგვარი ნაბიჯი სერიოზული ეთნოკრიზისების წარმოქმნის მიზეზი შეიძლება გახდეს. ამიტომ, ყოველგვარი პროვოკაცია თავიდან რომ აიცილონ, რესპუბლიკური ორგანოები საზოგადოებრიობასთან ერთად მუდმივ კონტროლს უწევენ ვითარებას, ამყარებენ კონტაქტებს ქვეყნის იმ რეგიონების ხელმძღვანელებთან, სადაც ამჟამად ცხოვრობენ ამ ხალხის წარმომადგენლები.

●

6 ივნისს გაიმართა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის რესპუბლკიის კომპარტიის საარჩევნო პლატფორმის შემმუშავებელი კომისიის სხდომა.

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.**

## ცნობები საწარმოებიდან





## მსოფლიო ბაზარზე

ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკაში დადგეს უახლესი დაზგები, რომლებსაც ელექტრონულ-გამომთვლითი ტექნიკა მართავს. მათ შეუფერხებელ მუშაობას უზრუნველყოფს საექსპლოატაციოდ გადაცემული ახალი ავტომატური ხაზი.

საწარმოში დამონტაჟებული იტალიური წარმოების პროგრამული მართვის დაზგებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს ნაწარმის ხარისხი, ახლა იგი კონკურენტუნარიანი გახდა.

დაადგნენ რა ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვის კურსს, ფაბრიკის მშრომელები პროდუქციას გაყიდიან კონვერტირებულ ვალუტაზე, მაშასადამე შეიძენენ იმპორტულ მოწყობილობას და გავლენ საგარეო ბაზარზე.

**სურათებზე: 1. ფაბრიკის უბანი, სადაც დადგმულია პროგრამული მართვის იტალიური დაზგები.**

**2. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული მანანა სულუხია ეცნობა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მუშაობის პრინციპს.**

**გ. გერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)**

### განვიხილავთ საქართველოს სსრ კანონის პროექტს

## დახვეწას საჭიროებს

რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნებულ კანონპროექტზე — საქართველოს სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძვლების შესახებ — არაერთგვაროვანი მსჯელობაა ქუთაისში. ამის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ქალაქის პროკურატურის მუშაკთა აზრიც, რომელთაც შეხვდა და ესაუბრა საქინფორმის კორესპონდენტი.

— კანონის პროექტში, — თქვეს მათ, ჩვენი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:

1. დაკონკრეტდეს მერვე მუხლის ბოლო ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შეიძლება ცალკეულ დარგთა საწარმოების მართვის უფლების გადაცემა სსრ კავშირის მართვის ორგანოებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე.

2. უმჯობესი იქნება მეათე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ბათილია იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დადებული ისეთი სამეურნეო ხელშეკრულებები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს სსრ ეროვნულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ეკოლოგიურ ინტერესებს.

3. მეთოთხმეტე მუხლში, სადაც მსჯელობაა მოქალაქეთა ინდივიდუალურ (პირად და კერძო) საკუთრებაზე. კარგი იქნებოდა, თუ განისაზღვრებოდა, სანიმუშოდ მაინც, საკუთრების ის კონკრეტული ობიექტები, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს კერძო საკუთრებაში საქართველოს მოქალაქეს.

4. ოცდამეთერთმეტე მუხლში (მომხმარებელთა ინტერესების დაცვა) ძალიან მოკლედ და ბუნდოვნად არის გადმოცემული ადამიანთა ისეთი საარსებო საკითხი, როგორიცაა პროდუქციის უვნებლობისა და საქონლის ხარისხი, ფასების რეგულირება, ცხოვრების გაძვირების შემთხვევაში კომპენსაცია და სხვა. საჭიროა ყველა ამ საკითხზე ნათლად და გარკვევით მსჯელობა, აუცილებლობის შემთხვევაში სპეციალური მუხლების გათვალისწინებაც კი.

უფრო მეტიც, ვფიქრობთ, კანონპროექტში უნდა გამოჩნდეს რესპუბლიკის პოზიცია საერთოდ ფასების პოლიტიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ფასების განსაზღვრის საკავშირო პრაქტიკასთან მიმართებაში.

5. კანონპროექტში არაფერია ნათქვამი ისეთი მწვავე პრობლემის რეგულირებაზე, როგორიც რესპუბლიკაში ორგანიზებული წესით მუშახელის შემოყვანაა. მართალია, დემოგრაფიული პროცესების მართვას დათმობილი აქვს მთელი მეოცე მუხლი, მაგრამ იგი იმდენადაა გადატვირთული და თანაც ისეთი ზოგადია, რომ ძნელია ამ მიმართებით რაიმე კონკრეტული აზრის გამოტანა.

6. კანონპროექტის მეთექვსმეტე მუხლში ლაპარაკია საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაზე და მათ შორის მიწაზე. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, თუ აქვე შედგებოდა მსჯელობა რესპუბლიკის კუთვნილი მიწის იმ მასივების სამართლებრივ რეჟიმზე, რომლებიც უკავიათ სამხედრო გარნიზონებსა და საკავშირო დაქვემდებარების წარმოება-დაწესებულებებს.

7. დასასრულ, ისიც უნდა ითქვას, რომ პროექტი რამდენადმე გადატვირთულია დეკლარაციული ხასიათის დებულებებით, რომელთა შეკვეცაც დიდად წაადგებოდა მის მნიშვნელობას.

**მ. კილაძე,**
**საქინფორმის კორ.**

## ისტორია ყველას თავისას მიაგებს

**ამბროლაური, ფუტიეთი (საქინფორმის კორესპონდენტი მაკა კილაძე).** „მამული, ენა, სარწმუნოება" — ქართული სახელმწიფოებრიობის ეს სამი უმთავრესი დედაბოძი არა ერთხელ ამოუღიათ ჩვენს მრავალრიცხოვან მტრებს მიზანში და არა ერთხელ გადაფარებია მას მკერდით ჩვენი წინაპარი.

ამ რწმენისათვის დადეს თავი 170 წლის წინ რაჭის უმშვენიერეს სოფელ ფუტიეთთან შეფიცულმა „ერმა და ბერმა", რომლებიც მახვილით ხელში წინ აღუდგნენ ცარიზმის მიერ საქართველოში საეკლესიო რეფორმის განხორციელებას. საბედნიეროდ, დრომ და უსამართლობამ ვერაფერი დააკლო ღირსეულ მამულიშვილთა სახელს. ამის ნათელ მაგალითად იქცა იმ ტრაგიკული ამბების მოსაგონებელი ხსოვნის დღე, რომელმაც ამბროლაურის რაიონში საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმარს მოუყარა თავი. მიტინგით დაიწყო ხსოვნის დღე ფუტიეთში.

— განა ვინმეს შეუძლია დაივიწყოს ის დღე, — აღინიშნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა ავთანდილ გიორგობიანმა, როცა გენერალ ვლასოვის კაზაკებმა და მაიორ გლადკორაცკის არტილერიამ მუსრი გაავლო თავისი ღირსების დასაცავად მებრძოლ თითქმის უიარაღო ქართველ მამულიშვილებს. ორიათასმა ქართველმა დადო თავი უთანასწორო ბრძოლის ველზე. არტილერიის ნალმით დანგრეულ და მიწასთან გასწორებულ იქნა სიმაგრეები, საყდრები და სამონასტრო ნაგებობანი. რუსეთის ცარიზმის ისტორიაში „ცერკოვნი ბუნტის" სახელით ცნობილი სხვა ასეთი აქციებიც სისხლში ჩაახშვეს. დღევანდელმა თაობამ კარგად უნდა იცოდეს, რომ სწორედ სისასტიკისა და ბარბაროსობის მსგავსმა ფაქტებმა დააფუძნა ქართველი ხალხისათვის უჩვეულო კოლონიური ჩაგვრა და ძალმომრევის სისტემა, რომელმაც შეძლო გარკვეული პერიოდით ჩაეკლა თვითმოქმედებისა და შემოქმედების თვისებები, რითაც ქართველი ხალხი ოდითგანვე ცნობილი იყო ცივილიზებული სამყაროსათვის — გასარკვევი როდია, რომ ბოლო სამოცდაათი წლის მანძილზე ფუტიეთის ამბებს ისევე ეყარა დავიწყების მტვერი, როგორც სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს, და დღეს, როცა ჩვენში კვლავ ასე ძალუმად იფეთქა რწმენის დაბრუნების სურვილმა, ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ ჩვენი მწარე ისტორიული გამოცდილება და იგი ჩავაყენოთ ეროვნული მოძრაობის სწორად წარმართვის საქმეში.

დასასრულ ფუტიეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში, რომელიც ქართული არქიტექტურის მშვენიერ ძეგლს წარმოადგენს, გადახდილ იქნა დაღუპულთა ხსოვნის პარაკლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრობა გრძელდება

დღითი-დღე ძლიერდება ძმური, მეგობრული კავშირები ისტორიული ბედუკუღმართობით საქართველოსაგან მოწყვეტილ „პატარა საქართველოს“ — ჰერეთის, საინგილოს ქართულ სკოლებსა და რუსთავის ქართულ სკოლებს შორის.

რუსთავის ქართულ სკოლებსა და აზერბაიჯანის, კახის რაიონის ქართულ სკოლებს შორის მეგობრობას რუსთავის № 18 საშუალო სკოლამ (დირექტორი მედეა მეცხვარიშვილი) ჩაუყარა საფუძველი შარშან მარტში, ესტუმრა რა კახ-ინგილოსა და ქოთოქლოს ქართულ სკოლებს.

და აი, წლეულს, მაისში რუსთავის № 14 საშუალო სკოლის დირექტორის, ინგილო არჩილ ყულოშვილის თავკაცობით ესტუმრა აზერბაიჯანის კახის რაიონის ქართულ სკოლებს კახ-ინგილოსა და ალათემურში.

მღელვარების გარეშე შეუძლებელია მოიგონო ყოველი ახალი შეხვედრა ძირ-ძველ ქართულ მიწაზე იმ ქართველებთან, რომლებმაც მიუხედავად ჩვენი გულგრილობისა, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან შევიწროებისა, მაინც შეინარჩუნეს „მამული, ენა, სარწმუნოება“.

შარშან, ზაფხულში ჩაეყარა საფუძველი ძალიან კარგ ტრადიციას. აზერბაიჯანის კახის რაიონის ქართული სკოლების მოსწავლეთა პატარა ჯგუფმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირების (თავმჯდომარე თამარ მაკასარაშვილი) და კომკავშირის რუსთავის ქალაქკომის (პირველი მდივანი ლაშა მინდელი) უანგარო დახმარებით დაისვენა სურამის მოსწავლეთა დასასვენებელ ბანაკში „ფოლადში“. წლეულსაც დაისვენებენ საინგილოს ქართველი ბავშვები სურამის მოსწავლეთა დასასვენებელ ბანაკში რუსთავის სახალხო ფრონტისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირების უანგარო დახმარებით.

**თამაზ კვარაცხელია,**
**ისტორიკოსი**

**ინფორმაციის ჰონორარი გადაირიცხება საინგილოში ალიბეგლოს ქართული სახალხო თეატრის ფონდში — რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო ბინსოცბანკის საოპერაციო სამმართველო, ანგარიში № 000700781.**

# დიმიტრი ყიფიანის გახსენება

ამას წინათ გაიმართა დიდი ქართველი მამულიშვილის დიმიტრი ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მის მშობლიურ სოფელ ქვიშხეთში (ხაშურის რაიონი).

საღამო მოაწყო საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობამ, ხაშურის რაიონულმა ორგანიზაციამ და ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

სიტყვით გამოვიდნენ და დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს: პროფესორებმა იოსებ უთურაშვილმა (მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანის“ ავტორი), სოლომონ ხუციშვილმა, გურამ ყორანაშვილმა, ალექსანდრე მუჯირმა, კარლო ტაბატაძემ; ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ; გამოვიდნენ აგრეთვე დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები — პროფესორი ნელი სავანელი, დოცენტი გივი მიქაძე, მაია სულხანიშვილი და ნელი პატარაია.

შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დააყენეს დიმიტრი ყიფიანისეულ სახლში მემორიალური სახლ-მუზეუმის გახსნისა და დღესასწაული „მამულიშვილობის“ (დიმიტრობა) დაწესების საკითხი.

თამაზ ლაცაბიძემ ხაშურის რეგიონალური სახალხო ფრონტის სახელით გააკეთა განცხადება, რომ იმ შემთხვევაში თუ მწერალთა კავშირის გამგეობა ყველაფერს არ იღონებს სახლ-მუზეუმის გახსნისათვის, მოეწყობა დიმიტრი ყიფიანის სახლის (ამჟამად დასასვენებელი სახლის) ბლოკირება და მწერლები და შემოქმედებითი დარგის მუშაკები დასასვენებლად არ დაიშვებიან.

**გივი ბელაშვილი**

# განცხადება

ა/წლის 16 და 17 ივნისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება ამერიკული როკ-ჯგუფის „ჰელიონისა“ და მოსკოვის როკ-ჯგუფის „კრუიზის“ კონცერტები.

დასაწყისი 20 საათზე.

ეს ჯგუფები კონცერტებს გამართავს აგრეთვე 12 ივნისს — ბათუმში, 13 ივნისს — ოზურგეთში, 14 ივნისს — ქუთაისში.

ცნობებისათვის დარეკეთ — ტელ. 36-01-55.

**ამირან კალაძე —**

# მეც იქ მიგულეთ!

## ანუ

## პასუხი მიტინგებზე გამოგზავნილ შეკითხვებზე

**ამ** ბოლო ხროს საზოგადოების ერთი ნაწილი პირდაპირ დადარაჯებულია გამოჩხრიკოს ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული ადამიანები რომელ სიებში ირიცხებიან. სიები კი, გაგიხარიათ, ბლომად ქვეყნდება... ამიტომ ყველას აინტერესებს, ვინ სად აწერს ხელს, ვინ ვის ჯგუფშია, ვინ ვის პარტიაშია. ვინ გადავიდა ერთი კავშირიდან მეორე ასოციაციაში, ერთი ფრაქციიდან მეორე საზოგადოებაში და ა. შ. და ა. შ.

სულ უფრო დაჟინებით ცირკულირებს რეანიმირებული ლენინური კონცეფცია: „Кто не с нами, тот против нас!“ მოთმინებიდან გამოსული საზოგადოება კი სრულიად სამართლიანად სვამს უმთავრეს კითხვას: საით მივდივართ? რა გზით ვიაროთ? ვის გავყვეთ? დღეს უკვე მას არ აკმაყოფილებს ამ კითხვებზე გაცემული ისეთი პასუხები, როგორიცაა — თავისუფლებისაკენ! პარლამენტური გზით! სინდისის კარნახით!

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ დღეს დიდი და პატარა მოსეს მოლოდინშია... თანაც იმ მოსეს მოლოდინში, რომელიც უდაბნოს გზებზე ორმოცი წელი არ გვაჯახირებს, გაყვანითაც ყველას გაგვიყვანს და არა მხოლოდ გზაში დაბადებულთ!.. დიახ, გაყვანის თადარიგს ინსტინქტურად უკვე ყველა იჭერს, მათ შორის ისინიც, რომლებიც „ეგვიპტის მონობაშიც“ მშვენივრად გრძნობენ თავს!

სხვისი არ ვიცი და ეს ერთი ხანია მეც გვარიანად შემომიტიეს. მიტინგებზე, თავყრილობაზე. მეგობართა ვიწრო წრეში დაჟინებით მეკითხებიან თუ რომელ სიაში ვარ, რომელ დეკლარაციაზე მაქვს ხელი მოწერილი და რომელზე არა, ეროვნულ ფორუმში დავრჩი თუ სხვებთან ერთად სხვაგან გადავედი... ერთი სიტყვით მეკითხებიან და ვალდებული ვარ ვუპასუხო. (ადვილი შესაძლებელია ჩემს დღეში რომელიმე თქვენგანიც იყოს, პატივცემულო მკითხველო).

ამ ცოტა ხნის წინ „ივერიელში“ ზედიზედ გამოქვეყნდა ფორუმიდან გასულთა და იქ დარჩენილთა სიები კომენტარებით, შეცდომების გასწორებით, დამატებითი განმარტებებით... ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ბუნებრივიცაა. აქ ჩვენთან ერთად მთელი საზოგადოებაც დიდ იმედებს ამყარებდა ფორუმის მუშაობაზე. ჩვენთან ერთად უთუოდ სხვებსაც გაუელვათ თავში სანატრელმა ფიქრებმა: „გვეშველა, მგონი გავვერთიანდით...“, „მგონი ერთ მუშტად შევიკარით...“ „მგონი...“, მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო! კვლავაც ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი სიხარული! ისევ მტრის გასახარელი განხეთქილება! ისევ დაპირისპირება! ისევ პირადული ანგარიშსწორება! ისევ უღელში წაღმა-უკუღმა შებმული ხარების გაწევ-გამოწევა!... „ქართველთა შორის არ არის ერთობა!“... სულის ამოყოლებით შეგვახსენებს უნეტარესი და უწმინდესი ილია მეორე თავის სააღდგომო ეპისტოლეში. ვაი რომ მარცხენა ხელი ისევ განუდგა მარჯვენას, ძმა — ძმას, შეგირდი — ოსტატს, მოქმედება — რეალობას! ალბათ მსგავს სიტუაციაში შეიქმნა მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისელი ფილოსოფოსის გობსის ცნობილი გამოთქმა Bellum omnium kontra omnes! (ყველას ომი ყველას წინააღმდეგ).

გაწბილების პირველი ელდა, როგორც ცნობილია, 24 აპრილს ვიგრძენით. შუადღისხანს კვლავ შეგვაზანზარა „დაჰყავი და იბატონეს“ ახალი ძალით ამოფრქვევამ... ეპიცენტრში კი სწორედ ეროვნული ფორუმი მოექცა!

თუმცა გაწბილებას თითქოს შეჩვეულიც უნდა ვიყოთ. მაგალითად, მახსოვს, რა იმედებს ვამყარებდით ერთ დროს სახალხო ფრონტზე, რომლის პირველი საინიციატივო ჯგუფიც ქართველ მწერალთა ერთი ნაწილის თავგამოდებით ჩვენში პირველად სწორედ მწერალთა კავშირში შეიქმნა. გამოხდა ხანი და ამ წმინდად დაწყებულ საქმეს, რომელმაც ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობაში უზარმაზარი როლი შეასრულა, მერე და მერე იმდენი სახელის გამტეხი მიეტმასნა, ეროვნული მოძრაობის მტრებმა ისე დასცეს და შებღალეს მისი ავტორიტეტი, რომ დღეს სამწუხაროდ ბევრს არ სჯერა მისი. არადა სახალხო ფრონტში დღესაც მრავალი თავდადებული მამულიშვილი იბრძვის.

იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავის დროზე ვერ შევქმენით საიმედო მექანიზმი, რათა სახალხო ფრონტში, ეროვნულ ფორუმში თუ სხვა პარტიებსა და საზოგადოებებში საეჭვო ბიოგრაფიისა და საქმიანობის ადამიანებს არ შემოეღწიათ, აქაოდა დემოკრატიას ვამკვიდრებთო (თითქოს საამისოდ დიდი სკოლა გვქონდა გავლილი!), ვინც წმინდა დროშას წაეპოტინა. თავზე ყველას შარავანდედი ან ეკლის გვირგვინი დავადგით. არ დავვინტერესდით, საიდან მოვიდა, რა გზით მოვიდა, რით მოიპოვა სამართალზე და პატიოსნებაზე ქადაგების უფლება... ღმერთო, შენ გვიშველე! — აქა-იქ ეროვნული მოძრაობის სახელით რეკეტიორებმაც კი დაიწყეს ნავარდი! ეროვნული მოძრაობა რომ ხალხში ძალმომრეობისა და ბანდიტიზმის ასოციაციებს გამოიწვევს, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა იყოს!

კონსოლიდაციის შიშველმა მოწოდებებმაც ვერ გამოიღო ნაყოფი. და ეს ბუნებრივიცაა — რომელ კონსოლიდაციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ერთსა და იმავე ქუჩაზე, ერთსა და იმავე სახლში, ერთსა და იმავე სოფელში მცხოვრები ქართველებიდან ზოგი 25 თებერვალსა და 9 მაისს ზეიმობს, ზოგი ქრისტეშობასა და 26 მაისს... (ზოგიც, ღმერთო, შენ გვიშველე! — ორივეს ერთად!!!), ზოგი სტალინს ადღეგრძელებს, ზოგი დავით აღმაშენებელს... (ზოგიც — ორივეს ერთად!!!), ზოგი ეკლესიაში სანთელს კი ანთებს, მაგრამ იქიდან გამოსული თავის სისხლსა და ხორცს ტყვიას აჭედებს შუბლში!!! თანაც, როგორც „წესი“, ქართველები მხოლოდ წვრილმანის გამო, მხოლოდ რჩეულთ, მხოლოდ ერთმანეთს ერჩიან... განსაცვიფრებელია, მაგრამ ფაქტია — არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე „თავზეხელაღებული ქართველი“ სულგანათლებული ჯორჯიაშვილივით საქართველოს საყოველთაოდ ცნობილ, ამა თუ იმ მტერზე თავდასხმაში ემხილოთ! ჩვენ ხომ მხოლოდ ერთმანეთთან გვაქვს დიდი გული! ისე არ გამიგოთ, თითქოს ვინმეს ტერორისაკენ მოვუწოდებდე, მაგრამ ვფიქრობ ამ უცნაურობის აღნიშვნის უფლება ნამდვილად მაქვს. ეს ისევე მრავლისმთქმელია, როგორც ის, რომ ჩვენს ოთხმოცდათვრამეტი ეროვნებით დასახლებულ ინტერნაციონალურ თბილის-ქალაქში 9 აპრილის ღამეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველები დაწყდნენ და სხვა არავინ! არადა წესით და რიგით, ისეთ ინტერნაციონალურ ქალაქში, რომლის ქუჩებიც კი თავისი აბრებიანად რუსულ-ქართულ ლექსიკონს მოგვაგონებს, ასევე ინტერნაციონალურად უნდა დავზარალებულიყავით!..

მომიტევეთ, მაგრამ აქვე მინდა ფრთხილად გამოვთქვა ერთი ეჭვიც, რომელიც კარგა ხანია მაწუხებს — 9 აპრილის თეატრალიზებულ-მაზოჰისტური გლოვით რამდენადმე ხომ არ ვაკნინებთ და ვაუფასურებთ ჩვენს ენითგამოუთქმელ ეროვნულ ტრაგედიას?... ნამეტანი ხომ არ შევეჩვიეთ იმ უმანკო სისხლის მოსაგონარ ცეკვა-სიმღერებს, რომელიც ქართველთა ერთარსად შესადუღაბებლად დაიღვარა და ჯერაც ცას შესჩუხჩუხებს?!..

შეუთავსებლის შეთავსებაზე თუ ჩვენებურ კონსოლიდაციაზე მოგახსენებდით. ზოგი სტალინისა და მარქსიზმის დამცველ საერთაშორისო საზოგადოებებს ქმნის და სამხედრო დისციპლინის შემოღებით გვემუქრება!... ამას წინათ ერთი ხანდაზმული სამხედრო მოსამსახურე თავის სატელევიზიო გამოსვლაში პატრიოტიზმზე კი დებდა თავს, მაგრამ არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიდა იმ „წვრილმანის“ გამო, რომ იმ წუთში მას ტანზე სწორედ ოკუპანტის ფორმა ეცვა და მკერდიც იმავე ოკუპანტის ოცდაათ ვერცხლში ამოვლებული ჩინ-მედლებითა და რკინის ჯვრებით ჰქონდა დამშვენებული, რომელთაც, სხვა რომ არაფერი, ღრუბლიან ამინდში მეხი ერჩის!

აგერ, შენსავე ქუჩაზე მცხოვრები ერთი ქართველი დღესაც რუსულ სკოლაში მიაცუქცუქებს შვილს, მეორე კი, არც მეტი და არც ნაკლები — ეროვნული მოძრაობის სახელით რაიკომის მდივანს ან სხვა პარტოკრატ ბობოლას ობსტრუქციას უწყობს, რათა მის ადგილზე თავისი ბიძაშვილი წამოასკუპოს! მესამე, სახალხო ფრონტის სახელით რესტორანში, მაღაზიაში, ბაზარში შედის და კარგა მოზრდილ თანხას „აწერს“ მისებრ ცოდვილ ახმახს!.. მოკლედ ძალიან ხშირად ძაღლი და პატრონი ერთმანეთს ვერ ცნობენ... ერთი აღმა ხნავს, მეორე დაღმა ფარცხავს. კი, მართალია, ამ ეტაპზე ეს რამდენადმე კანონზომიერი და გარდამავალი პროცესია, მაგრამ დამერწმუნეთ შემზარავია, როცა ბევრი მიტინგზე სხვას გაიძახის, როგორც იტყვიან, სხვა ქულებს იწერს, პირად ცხოვრებაში კი სულ სხვას აკეთებს... პირდაპირ უნდა ითქვას, ასეთი იანუსები ძირითადად პირადი მიზნებისათვის იყენებენ მიტინგებს და, რაც მთავარია, ძალზედ ცუდ მაგალითს უჩვენებენ მოზარდ თაობას. მავანი სწორედ რომ პავლოვის ძაღლივითაა მიკროფონზე დარეფლექსებული — თავის გამოჩენის მიზნით ერთობ საეჭვო ტირადას ერეკება და ხშირ შემთხვევაში წერტილის გრძნობასაც კარგავს. ასეთებს ჰგონიათ, რაც უფრო ბევრს და ხმამაღლა ილაპარაკებენ, მით უფრო დიდ სახელს მოიხვეჭენ საზოგადოებაში. ამის გამო თუა, რომ უსერიოზულეს საკითხებზე მოწვეული მიტინგი ზოგჯერ თვითმიზნურ ხასიათს ღებულობს და ლამის გაუფასურდეს კიდეც. ზოგზოგნი ბატონი ზვიად გამსახურდიას საგაზეთო განცხადებასაც არად დაგიდევენ და მიუხედავად მისი მოწოდებისა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა წარამარა არ მოვწყვიტოთ სასწავლო პროცესს, მაინც დაჟინებით მოუხმობენ მოსწავლეებს სხვადასხვა აქციებში მონაწილეობის მისაღებად.

ამ ბოლო ხანებში ჩვენს მიტინგებზე თავი იჩინა ერთმა მავნე ტენდენციამ. განსაცვიფრებელია ღმერთმანი! — მავანნი და მავანნი რა ზედაპირულად, რა უხამსად, რა ლაზღანდარულ-ქედმაღლური თავდაჯერებით წამოჰკრავენ ხოლმე ხელს ჩვენსავით მრავალტანჯული ბალტიის თავგანწირული ბრძოლის შეფასებას. მათ გასაგონად სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო: ნუ ღელავთ, ბატონებო! ბალტიამ შესანიშნავად იცის საით მიდის, რა გზით მიდის და რისი იმედით მიდის! მაგათ, როგორმე, პოლიტიკური ბრძოლის ჩვენგან სწავლება არ სჭირდებათ. ყურადღება მივაქციოთ თუნდაც ერთ საგულისხმო ფაქტს — მართალია ბალტიელებს „თავისუფალ ერთა მძლე კავშირში“ ყოფნის ჩვენოდენა სტაჟი არა აქვთ, მაგრამ მიუხედავად ნახევარსაუკუნოვანი ოკუპაციისა, მათი ცხოვრების წესი და თვითმყოფობა დამპყრობელმა ისე ძალუმად ვერ შერყვნა, როგორც ჩვენი! ბალტიელები ოკუპაციის წლებშიც თავისუფლები იყვნენ... შინაგანად! სანამდე კაცი უმალ ბალახს შესჭამს, ვიდრე დამპყრობლის შემოჩეჩებულ შაქარყინულს დაეხარბებოდეს, იგი თავისუფალია! ბალტიელისათვის კი იმთავითვე უცხო აღმოჩნდა ბატონისადმი ე. წ. მომგებიანი დათმობის ფსიქოლოგია... შეუპოვარი, გაწონასწორებული, გამოუმზეურებული ხასიათის წყალობით ბალტიელებმა თადარიგიანად გამოიმუშავეს იმუნიტეტი მორჩილების ავბედითი კომპლექსის დასაძლევად... ვისაც ერთხელ მაინც უმოგზაურია ტალინში, რიგაში ან ვილნიუსში, არ შეეძლო ეს არ ეგრძნო. და ბოლოს, თავიანთი ერთი შეხედვით „პირქუში“ ცხოვრების წესის წყალობით ისინი სრულ მზადყოფნაში შეხვდნენ თავისუფლების ზარების ჩამოკვრას... (NB — მითხარი როგორ ცხოვრობ და გეტყვი ხარ თუ არა მზად თავისუფლებისათვის!) არის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი „წვრილმანი“ — ბალტიაში ერთმანეთს არ ებრძვიან! ტალინში, მაგალითად, შეუძლიათ თავიანთი ლიდერის ედგარ სავისაარის რადიოდაძახილზე 15 წუთში ქუჩაზე კაცი გამოვიდეს და ინტერფრონტის მორიგი შემოტევისაგან დაიცვან ნდობით აღჭურვილი მთავრობა. იქ

(დასასრული მე-5 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დაახლოებით ასი წლის წინათ (მაშინ თბილისში ქოლერა მძვინვარებდა) „ივერია“ სისტემატურად განიხილავდა ქალაქის ნაგვისაგან დასუფთავების, მავნე მღრღნელებთან ბრძოლის საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა დღესაც პრობლემად რჩება. მეტისმეტად მომრავლებულმა მღრღნელებმა ყველგან შემოგვიტიეს — სახლებში, კვების ობიექტებზე, სარდაფებში... (ჩვენთან რა მოგახსენოთ, მაგრამ თურმე მოსკოვში დაახლოებით 18 მილიონი თაგვია, ხოლო მათგან მოყენებული ზარალი 175 მილიონ მანეთს აღწევს) იმით, რომ ეს არა მარტო ჩვენი, მაღალგანვითარებული ქვეყნების პრობლემაცაა (ნიუ-იორკის ცათამბჯენებს ძირს ვირთაგვები უთხრიან, პრემიერ-მინისტრის ნაკასონეს კაბინეტს შეჩვეულ თაგუნას კი იაპონელებმაც ვერაფერი მოუხერხეს) თავს ვერ ვინუგეშებთ. რამდენიმე წლის წინათ აკი სწორედ ჩვენთან მოხდა ამაზრზენი ფაქტი — ვირთაგვებმა გალის სამშობიაროში ახალშობილები დაამახინჯეს.**

**თბილისში მღრღნელებთან და მავნე მწერებთან ბრძოლა ქალაქის სადეზინფექციო სადგურთან შექმნილი სპეციალური პროფილაქტიკური დეზინფექციური განყოფილების ვალია. ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა სადგურის მთავარ ექიმს ვიქტორ მოსიძეს.**

# პატარა რუხი მტერი

**— ბატონო ვიქტორ, როგორია სადეზინფექციო განყოფილების მუშაობის პრინციპი?**

— ჩვენი მუშაობის შედეგი დამოკიდებულია საცხოვრებელი სახლების ნაგავშემკრებების (ე. წ. („ბუნკერების“), მათი სარდაფებისა და სადარბაზოების, სავაჭრო ობიექტების სათავსოების, საწარმოთა თუ ქარხნების ტერიტორიათა სანიტარულ მდგომარეობაზე. სანეპიდსადგურის მითითებით, ეს ადგილები ჯერ ნაგვისაგან უნდა დასუფთავდეს (ამას სპეცავტომეურნეობა აკეთებს), მერე ჩვენ უნდა დავამუშაოთ შხამმასალებით. გვაქვს სპეციალური გრაფიკებიც, სადაც ყოველკვირა დასამუშავებელი ობიექტების რაოდენობაა აღნიშნული, მაგრამ, როგორც წესი, ეს გრაფიკი ირღვევა. რატომ? ნაგავი ამ ობიექტებიდან დროზე არ გააქვთ სანაგვე მანქანების უკმარისობისა თუ სხვა მიზეზთა გამო. ამიტომაც იძულებულნი ვართ, ეს ნაგვიანი ადგილები საჭიროზე მეტჯერ შევწამლოთ დიდი რაოდენობის პირველი კატეგორიის შხამით, რომელსაც ადამიანის (განსაკუთრებით ბავშვების) ორგანიზმში აკუმულირების უნარი აქვს. მაგრამ ჩვენი მუშაობა მაინც არაეფექტურია.

**— კერძოდ, რა პრობლემას გიქმნით გაუტანელი ნაგავი?**

— უნდა გითხრათ, რომ ე. წ. „ქართული ნაგავი“, ალბათ, ყველაზე კალორიულია მსოფლიოში. ეს იწვევს მის დანესტიანებას, რაც შხამმასალის მოქმედებას ანეიტრალებს. სამარცხვინოა ქალაქის ასეთი დაბალი სანიტარული კულტურა, ნაგავმიმღებებს არა აქვთ ონკანი და წყალგამშვები. ამიტომაც მათი რეცხვა არ ხდება. საცხოვრებელი კორპუსების წყლით დატბორილი სარდაფები კოლოების ბუდეა. როგორ მოგწონთ, როცა უბინძურესი სადარბაზოდან გაკრიალებულ ოთახში შეაბიჯებთ?

**— ამდენად, მღრღნელებთან გაჩაღებულ ომში თქვენი მთავარი იარაღი შხამმასალებია...**

— არა მარტო შხამმასალები, არამედ სისუფთავეც, რომლის უზრუნველყოფა ჩვენი განყოფილების ფუნქცია როდია. საუბედუროდ, მღრღნელებთან ომშიც „ცენტრი“ იძლევა ბრძანებებს, რომელიც რეგიონალურ თავისებურებებს არ ითვალისწინებს. „ცენტრში“ კლიმატური პირობების გამო მავნე მწერები მხოლოდ ერთ თვეს ცოცხლობენ, ჩვენთან — მთელი წელი; „ცენტრში“ მღრღნელები წელიწადში ორს, ჩვენთან — რვა თაობას იძლევიან. შხამმასალების ხარჯვის გეგმაც ერთნაირი გვაქვს. „ცენტრი“ შესაწამლავად ჰექისტოლა თევზებისა და ხორცის ნაჭრების გამოყენებას გვკარნახობს. არა და, როგორც გითხარით, ჩვენს კალორიულ ნაგავში რას არ აღმოაჩენს კაცი: გოჭის თავიო, ქათმის ნაჭერიო, ხაჭაპურიო... ამიტომაც აქაურ ვირთაგვას „გემოვნებაც“ უფრო მაღალი აქვს და უფრო ჭირვეულიცაა.

**— ვინ გამარაგებთ შხამმასალებით?**

— რუსეთიდან მათ უკვე აღარ ვღებულობთ. შემორჩენილი კი არაეფექტურია. რადგან ჩვენი დაკვირვებით, შეიმჩნევა საწამლავთან მავნე მწერების იმუნობიოლოგიური შეგუება, მაგალითად, ბუზი ჯერ კიდევ 1978 წლიდან შეეჩვია ქლოროფოსს. ასეთივე მდგომარეობაა მღრღნელებთან. თუ დღეს ერთი გრამი შხამი ჰკლავდათ, ხვალ უკვე ორჯერ მეტი სჭირდებათ. მოსკოვმა აგვიკრძალა მათ წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური საშუალების — ბაქტოკუმარინის გამოყენება ნაწლავური ინფექციის გავრცელების მოტივით, რაც, ჩემი აზრით, საპნის დეფიციტის ბრალი იყო. ეს შხამი სრულიად უვნებელია ადამიანებისათვის, დაავადებულ მღრღნელებში კი კანიბალიზმს იწვევს და ისინი ერთმანეთს ანადგურებენ. ჩვენ მავნებლობად მიგვაჩნია ქიმიური და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტალურ ქარხანაში ბაქტოკუმარინის წარმოების ხაზის დემონტაჟი. ამ ქარხნის დირექტორმა, ვეტერინალურ მეცნიერებათა კანდიდატმა თამაზ კობახიძემ დიდი შრომა გასწია, რათა შეექმნა ახალი ეფექტური პრეპარატი, რომელსაც მალე გამოვიყენებთ.

**— თუ შეიძლება, დაგვიხასიათეთ თქვენი „მოწინააღმდეგე“.**

— თბილისში ბინის თაგვი გაიშვიათდა, იგი ვირთაგვებმა გაანადგურეს. ბევრს ჰგონია, რომ ეს უკანასკნელი გაზრდილი თაგვია. სინამდვილეში ისინი სხვადასხვა სახეობას ეკუთვნიან. ვირთაგვები ჭკვიანები არიან. დღეს მიწოდებულ მოწამლულ მისატყუებელ მასალას ხვალ პირს აღარ დააკარებენ. ამას თავდაცვის ინსტიქტი კარნახობთ. ამიტომაც მათ „მენიუს“ კვირაში შვიდჯერ ვცვლით. როცა განადგურების საშიშროებას იგრძნობენ, მშობიარობის ციკლს უმატებენ. საერთოდ, მღრღნელების სრული მოსპობა, ალბათ, არც შეიძლება. არის მოსაზრება, რომ თაგვი ადამიანის თანმხლები ფიზიოლოგიური ერთეულია და რაოდენობრივად მას უთანაბრდება. მაგრამ ახლა ეკოლოგიური წონასწორობა დარღვეულია.



ვირთაგვის გამოსაკვებად დღე-ღამეში 60 გრამი, თაგვისათვის სამი გრამი საკვებია საჭირო. მაგრამ მთლიანად საკვების ეს მასა წელიწადში ათასობით ტონას აღწევს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი 5-10-ჯერ მეტ პროდუქტს აფუჭებენ, ვიდრე ჭამენ, ზარალის ღირებულება მილიონობით მანეთია. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ გამოიწვიონ 11 საკარანტინო დაავადება, მათ შორის შავი ჭირი. ვირთაგვები აგრესიულები არიან და შეიძლება თავს დაესხან კიდეც ბავშვებს.

**— რას უშვებით დახოცილ ვირთაგვებს?**

— თვეში საშუალოდ 20 ათასამდე ვანადგურებთ. უწინ მათ შავი ჭირის სადგურს ვაბარებდით. მკვდარი ვირთაგვები წესით 900 გრადუს ტემპერატურაზე უნდა დაიწვან და ჩაიმარხონ ერთ მეტრამდე სიღრმის ორმოში. ახლა ასე აღარ ხდება, რადგან ხელს პირობები არ უწყობთ. საერთოდ, ძალზედ ძნელია დახოცილი ვირთაგვების სავსე ნაგავმიმღებებიდან გამოტანა. ამიტომაც მათი უმრავლესობა ნაგავს მიჰყვება ხოლმე. ჩვენს მიერ შეგროვილის ნაწილს ვმარხავთ, ნაწილს კოოპერატივ „ლაიკას“ ვაბარებთ.

**— როგორც ჩანს, კომერსანტები არც ამ შანსს უშვებენ ხელიდან...**

— ვირთაგვების გადამუშავებული ბეწვიდან უძვირფასესი ქურქები იკერება. ამ საქმეში შეიძლება მაწანწალა ძაღლებისა და კატების გამოყენებაც.

**— კატა ახსენეთ. როგორია ამ ტრადიციული მტრის როლი მღრღნელებთან ბრძოლაში? და საერთოდ, ამ თვალსაზრისით რა პრობლემები გაქვთ?**

— ვირთაგვები ისე აგრესიულები არიან, ისე გათავხედდნენ, როლები შეიცვალა. მათ ისევ შხამმასალებით უნდა ვებრძოლოთ.

მაგრამ საცხოვრებელი კორპუსების ღია სარდაფები თითქმის მიუდგომელია დეზინფექტორისათვის, ისეა ჩახერგილი ათასგვარი ხარახურით. მიმაჩნია, რომ ახალი მაღლივი კორპუსების მცხოვრებლებისათვის ჩაბარება მიზანშეუწონელია ჩვენი სამსახურის გარეშე, რადგან დროულად უნდა ამოივსოს მინისა და თაბაშირის ნარევით ყველა ხვრელი, რომელიც „ბუნკერებს“ სარდაფთან აკავშირებს. სავაჭრო ობიექტების სარდაფებშიც შეუძლებელი ხდება შხამმასალის შეტანა, რადგან ისინი ძირითადად მოუწყობელია და კედლებსა და პროდუქციას შორის დაცილების სანიტარული ნორმები (30 სმ) დარღვეულია.

ჩვეულებრივ, მაღაზიებში სამამულო წარმოების შხამმასალა არ იყიდება, ჩვენ თვითონ დავამზადეთ მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ სხვადასხვა ქიმიური მისატყუებელი მოსახლეობაში გასავრცელებლად, მაგრამ მაღაზიის უქონლობის გამო ვერ ვყიდით. თუმცა 26 კომისრების სახალხო დეპუტატების აღმასკომმა კარგა ხანია მიიღო დადგენილება ამ დანიშნულების ჯიხურის დადგმის თაობაზე.

გარდა ამისა, გვჭირდება სპეციალური მაღაზიაც, რომელიც გარკვეული თანხის გადარიცხვის შემდეგ საჭირო პროდუქციით მოგვამარაგებს, არა გვყავს შხამმასალის გადასაზიდი ავტომანქანებიც. ამასთან გადაწყვეტილი გვაქვს ვაიძულოთ მექანიკური ქარხნები ჩვენს მიერ შეთავაზებული ნიმუშების მიხედვით დაგვიმზადონ ხაფანგები და სხვა ამგვარი საშუალებანი.

რაკი განყოფილება სამეურნეო ანგარიშზეა, შევძელით დეზინფექტორთა ხელფასები 138 მანეთამდე გაგვეზარდა. დამეთანხმებით, ესეც მეტად დაბალი ანაზღაურებაა იმ მძიმე და სპეციფიკური სამუშაოსათვის, რომლის შესრულებაც მათ უწევთ. ხოლო სპეცავტომეურნეობის მუშაკები, კერძოდ ნაგავის გამტანები, რომელთა კეთილსინდისიერ მუშაობაზე ჩვენ ვართ დამოკიდებული, სამჯერ და ოთხჯერ მეტ ხელფასს იღებენ. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ დეზინფექტორთა ახლანდელი ხელფასი გაუთანასწორდეს მენაგვეთა ხელფასს, რაც პასუხისმგებლობას გაზრდის.

**— როგორ შეუძლია საზოგადოებას დაეხმაროს დეზინფექტორებს?**

— ახალგაზრდობამ უნდა შეიგნოს, რომ თბილისის სისუფთავისათვის ზრუნვა პატრიოტიზმის ერთ-ერთი ყველაზე საქმიანი და ნათელი გამოხატულებაა. დროა, მოვიხსნათ „ქართული კომპლექსები“, რომლითაც მეეზოვეობას, მენაგვეობას ვუკადრისობთ. საკუთარ სახლს ყველამ თვითონ უნდა მოუაროს, ყველა უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თბილისის სისუფთავისათვის. მაგრამ მოსახლეობაში სანიტარული კულტურის პროპაგანდა, ალბათ, მაინც ახალგაზრდობამ უნდა ითავოს. სანამ ქალაქი ბინძურია, უძლურნი ვართ მღრღნელებთან ბრძოლაში. დღეს საუბარია არმიაში გაუწვევლობის შემთხვევაში ალტერნატიული სამსახურის თაობაზე. მიმაჩნია რომ ამგვარ სამსახურად დეზინფექტორად მუშაობაც უნდა ჩაითვალოს. ახალგაზრდებთან ჩვენ ხელშეკრულებასაც დავდებთ ბინათმშენებლობის თაობაზე. თვის ბოლოს ჩვენი განყოფილება აპირებს ქალაქის სანიტარული დამუშავების ერთკვირეული კომპანიის ჩატარებას, რომელშიც ახალი პრეპარატი იქნება გამოყენებული. გვინდა, მოვუწოდოთ ახალგაზრდებს, დაგვეხმარონ, სადარბაზოები დაასუფთაონ. ისე დეზინფექტორთა მუშაობა უშედეგო იქნება.

**— ბატონო ვიქტორ, ალბათ, ჩვენი გაზეთიც მიიღებს მონაწილეობას ამ კომპანიის გაშუქებაში. ახლა, რაც შეეხება კერძო ბინათმფლობელებს, ვის უნდა სთხოვონ მღრღნელების თავიდან მოშორება?...**

— მათ რაიონულ სადეზინფექციო სადგურებთან უნდა გააფორმონ ხელშეკრულება, რაც ობიექტის თვეში ორჯერ დამუშავებას ითვალისწინებს. მაგრამ ყველა როდი დებს ამ ხელშეკრულებას. ბევრი სარდაფში არც კი გიშვებს, რადგან შიშობს, შხამმა იქ არაფერი გაუფუჭოს. ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ არსებობს ე. წ. პრივილეგირებული სახლები, რომელსაც სისტემატურად წამლავენ დეზინფექტორები. ეს ზემოთ ნათქვამი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. მაგრამ რაკი მღრღნელები გადაადგილდებიან, ცალკეული ობიექტების შეწამვლას აზრი არა აქვს.

**— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გკითხოთ, უკეთდება თუ არა დეზინფექცია საკომისიო მაღაზიებში სავაჭროდ გამოტანილ ნახმარ საქონელს?**

— ადრე ეს ჩვენ გვევალებოდა. ახლა რატომღაც დეზინფექციას საჭიროდ აღარ მიიჩნევენ. არადა, ამ გზით ადვილი შესაძლებელია კანისა თუ სხვა დაავადებათა გადადება და გავრცელება.

საერთოდ, თბილისი 1972 წლიდან ქოლერის ეპიდემიის საშიშ საკარანტინო ზონადაა მიჩნეული. ცხელი ზაფხულის პირობებში არ არის გამორიცხული რაიმე ინფექციის გავრცელება, რასაც მღრღნელების სიმრავლეც ხელს შეუწყობს. ამიტომ მათზე ყველგან ერთად უნდა მივიტანოთ იერიში.

ესაუბრა
**მაია თუნბია**

# აქცია გრძელდება



— ჩვენ უნივერსიტეტის მოშიმშილე სტუდენტებს სოლიდარობას ვუცხადებთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ვუერთდებით მათ პოლიტიკურ მოთხოვნებს, — მითხრა მთავრობის სახლთან მოშიმშილეთა აქციის მონაწილემ, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის წევრმა **ანზორ უფიქრიშვილმა**.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია არ ვცნობთ საქართველოში დღესდღეობით არსებულ საოკუპაციო რეჟიმს, მორალურ და ზნეობრივ სოლიდარობას ვუცხადებთ მოშიმშილე სტუდენტებს, რომელთა სიცოცხლე უკვე საფრთხეშია. ჩვენ აქ დავსხედით ყოველგვარი პოლიტიკური მოთხოვნების გარეშე, — ამბობს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის წევრი **ზვიად ბოკუჩავა**.

— ჩვენ ვთვლით, რომ დღეს ყველაზე აუცილებელია იმ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვა, უნივერსიტეტში რომ შიმშილობენ. ისინი განწირულნი არიან, რადგან მთავრობა დღემდე გულგრილობას იჩენს, თითქოს არაფერი ხდებოდეს. იქნებ ხალხი შეეჩვია მოშიმშილეებს. გაფიცვებს, პროტესტის სხვადასხვა ფორმებს, ამიტომ ყველას გასაგონად უნდა ვთქვა — უვადო შიმშილი, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს 31 მაისს და რომელ-



საც ჩვენ შევუერთდით, ყველაზე უკიდურესი ფორმაა. ჩვენ აქ ვიქნებით მანამ, სანამ სტუდენტები იშიმშილებენ. თუ ქართველი ერი იმ სტუდენტებს გასწირავს, მაშინ სიკვდილი ჩვენთვისაც ბედნიერება იქნება, რამეთუ აღარ დავინახავთ უზნეობის ჰაობს — ეს კი სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების წევრმა **ნუგზარ მოლოდინაშვილმა** მითხრა.

უკვე მეოთხე დღეა მთავრობის სახლთან მოშიმშილეთა აქცია გრძელდება. აქ შიმშილობენ ჰელსინკის კავშირის, მონარქისტული (კონსერვატული) პარტიის, წმიდა ილია მართლის საზოგადოებისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების წარმომადგენლები. შიმშილობა უვადოა და გაგრძელდება სტუდენტების მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე.

**ინა ხარიძე**

---

**უნივერსიტეტში მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით რედაქცია უამრავ გამოხმაურებას იღებს. ვაქვეყნებთ 2 ახეთ გამოხმაურებას, რომლებიც კარგად ახახავს მათ არსს.**

უნივერსიტეტის სტუდენტთა აქციის მომწყობი და მონაწილე ახალგაზრდობა — ეს საქართველოს ხვალინდელი დღეა, მისი მომავალია, რისთვისაც არსებობს ყველაფერი ქვეყანაზე, ეს ოფიციალური მთავრობაა, თუ არაფორმალური ორგანიზაციები.

ჩვენ, გამომცემლობა „განათლების“ თანამშრომლები, ძირითადად კანონიერად მივიჩნევთ მათ მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერთ ამ აქციას. მოვითხოვთ რესპუბლიკის მთავრობამ სასწრაფოდ მიიღოს გადამწყვეტი ზომები წამოყენებული მოთხოვნების ცხოვრებაში გონივრულად გასატარებლად.

**80 ხელმოწერა**

---

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო ცენტრის

# განცხადება

თბილისში ამჟამად მიმდინარეობს შიმშილობის რამდენიმე აქცია. ამ აქციების მონაწილეთა მოთხოვნილებიდან ჩვენთვის სრულიად მიუღებელია კერძოდ ის, რომ საქართველოს დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ მიიღოს დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდი და გადაარქვას სახელი რესპუბლიკას.

საქმე ის კი არაა, თუ ვინ გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, არამედ ის, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი გარანტია იმისა, რომ უზენაესი საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა, რომელიც არ არის არჩეული ქართველი ხალხის მიერ და საქართველოს კ. პ. ცკ-ის ანუ, ფაქტობრივად, კრემლის მიერ არის დანიშნული, გაუძლებს კრემლის დაწოლას და შეძლებს მის მიერ პროვოცირებული სირთულეების დაძლევას. გამორიცხული არ არის, რომ მან ახალი კაბალური სამოკავშირეო ხელშეკრულებაც კი დადოს. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, უზენაესი საბჭო ახდენს იმის ინსცენირებას, თითქოს გადაწყვეტილებებს იღებს საზოგადოებრივი აზრის ან ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის დაწოლის შედეგად, სინამდვილეში კი დამპყრობლის პოლიტიკას ახორციელებს.

აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა შესაძლო მძიმე შედეგებისათვის უზენაეს საბჭოსთან ერთად უნდა დაეკისროს ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც სხვა უმრავლეს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ქართველ ხალხთან შეუთანხმებლად ცდილობს ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენებასა და გადაჭრას.

თბილისი, 8 ივნისი 1990 წ.

---

## საქართველოს სახალხო ფრონტის საგაფიცვო კომიტეტის

# განცხადება

როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ა. წ. 31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ხუთკაციანმა ჯგუფმა გამოაცხადა უვადო შიმშილობა საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ, რათა გადაიდგას გადამწყვეტი მნიშვნელობის ნაბიჯი საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. საქართველოს სახალხო ფრონტმა სრული სოლიდარობა გამოუცხადა მოშიმშილეებს.

უკვე მეთორმეტე დღეა მიმდინარეობს შიმშილობა. ახალგაზრდების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მიუხედავად ამისა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არ იწვევს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე საგანგებო სესიას აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს სახალხო ფრონტი უერთდება საპროტესტო აქციას და ანალოგიურად აცხადებს უვადო შიმშილობას ა. წ. 6 ივნისიდან.

თუ არ დაკმაყოფილდება მოშიმშილეთა მოთხოვნები, სახალხო ფრონტი ამას ჩათვლის საქართველოს მიმართ დაუფარავი მტრობის აქციად. თუ ხელისუფლების გულგრილობას თუნდაც ერთი ახალგაზრდის ჯანმრთელობა შეეწირა და თუნდაც ერთი მათგანის სიცოცხლე აღმოჩნდა საფრთხეში, მაშინ სსფ მიმართავს მასობრივ გაფიცვებს და სხვა საპროტესტო აქციებს მთელ საქართველოში.

**საგაფიცვო კომიტეტის სახელით:**

**ავთანდილ იმნაძე**
**დავით ხომასურიძე**
**გია მიქელაძე**
**გოგი კაკუნაშვილი**
**ზაზა დუმბაძე**
**დავით ტომარაძე**
**ნუკრი ჭეიშვილი**

---

## საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გივი გუმბარიძეს

## ასლი — ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მოშიმშილე სტუდენტთა ჯგუფს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებამ ა. წ. 7 ივნისს განიხილა რა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა უვადო შიმშილობასთან დაკავშირებული მდგომარეობა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. მთლიანად მხარს ვუჭერთ მოშიმშილეთა ათივე მოთხოვნას.

2. დამატებით მოვითხოვთ განხილული და მიღებულ იქნას კანონი ეროვნული საჯარისო ფორმირებების და ალტერნატიული სამსახურის შესახებ.

3. ეთხოვოს უზენაეს საბჭოს, გაითვალისწინოს მოშიმშილეთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით რესპუბლიკაში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა და სასწრაფოდ მიიღოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის აუცილებელი დადგენილებანი.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ სოლიდარობის ნიშნად ჩვენი ინსტიტუტის რამოდენიმე თანამშრომელი აპირებს გამოაცხადოს უვადო შიმშილობა. ინსტიტუტის კოლექტივი ფრიად შეშფოთებულია მოსალოდნელი შედეგებით.

**კრების დავალებით:**
**მანუჩარ ლანჩავა**
**რომან ბედინეიშვილი**
**ვიქტორ დომუხოვსკი**

---

**1990 წლის 7 ივნისს** შედგა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა 1990 წლის 31 მაისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უვადო შიმშილობის აქციის გამომცხადებელ პირთა მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი.

შექმნილი ვითარების, აქციის მოსალოდნელი მასშტაბებისა და უმძიმესი შედეგების გათვალისწინებით, რუსთაველის საზოგადოება მოუწოდებს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ყველა დეპუტატს დაუყოვნებლივ გამოიყენონ საქართველოს სსრ კონსტიტუციით მათდამი მინიჭებული უფლება უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის მოწვევის შესახებ და განიხილონ შიმშილობის აქციის მონაწილეთა მოთხოვნები.

**რუსთაველის საზოგადოება**

---

## საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება

“საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი მხარს უჭერს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მოშიმშილე სტუდენტების მოთხოვნებს.

აკადემიის პრეზიდიუმი მიმართავს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს თხოვნით, სასწრაფოდ იქნას მოწვეული საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს სესია, რათა გადაიდგას რეალური ნაბიჯები საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

---

# ...თქმა სჯობს!

**საქართველოში** შექმნილი მწვავე პოლიტიკური ვითარება აღელვებს ყოველ ქართველს, მათ შორის ჩვენც.

შემაშფოთებელი და გულსატკენია ეროვნული მოძრაობის შუაზე გახლეჩა, გუშინდელი თანამებრძოლების ბარიკადის სხვადასხვა მხარეს დადგომა, მაშინ, როცა მთელი საქართველო მათ შეჰყურებს. მაგრამ გაცილებით სავალალო და დამღუპველია თავისუფალ აზრზე დიქტატის მცდელობის გახშირებული ფაქტები.

ზემოთქმულის თვალსაჩინო მაგალითია სპორტის სასახლეში მიმდინარე ეროვნული ყრილობა, დაკომპლექტებული ისეთი დელეგატებით, რომელნიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოხატავენ მთელი ქართველი ხალხის აზრს (როგორც ვიცით, ორგანიზაციათა უმრავლესობაში არ ჩატარებულა დელეგატთა არჩევნები, ყოველგვარი წესის დაცვის გარეშე გაიცა მანდატები, რამაც გამოიწვია ეროვნულ ყრილობაზე ბევრი შემთხვევითი ადამიანის მოხვედრა). ამდენად, ამ კრებულს ვერ მივიჩნევთ საყოველთაო ეროვნულ ყრილობად.

24 მაისს, ყრილობის მეორე დღეს, პრეზიდიუმს მივმართეთ წერილით, სადაც გამოვხატეთ ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) პოზიცია და ვთხოვეთ ეროვნულ ყრილობას არ მიეღო გადაწყვეტილება ეროვნული კონგრესის არჩევნების დანიშვნის შესახებ იმ მოტივით, რომ ჯერ არ იყო ჩატარებული სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ყველა კონცეფციის საერთო სახალხო განხილვა და ქართველ ერს არ ჰქონდა და არც ახლა აქვს გამოხატული თავისი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი. და აი, სწორედ აქ მოხდა ის, რასაც ნაკლებად ველოდით და რამაც ძალიან დაგვწყვიტა გული. ყრილობის თავმჯდომარემ გ. ჭანტურიამ ჩვენს მოსაზრებას პროვოკაციული უწოდა და სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეთა მეთოდით გამოგვირთო მიკროფონი, რამაც გვაიძულა დაგვეტოვებინა დარბაზი.

ჩვენს „დაჩაგვრას“, ალბათ, არც მივაქცევდით ყურადღებას, რომ არა ამავე ყრილობაზე საქართველოს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის — ნოდარ ნათაძის სტვენით შეურაცხყოფის ფაქტი „ერის წარგზავნილი“ დელეგატების მიერ ისევ და ისევ მათგან განსხვავებული მოსაზრების გამო. მსახიობ-დელეგატმა გ. ხარაბაძემ მას ცინიკურად „სახალხო ფრონტის დირექტორიც“ კი უწოდა. როგორც შევიტყვეთ, შეურაცხმყოფელი სტვენა-ყიჟინა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ შემდეგაც გაგრძელებულა.

ეროვნული ფორუმის წარმომადგენლებს არაერთგზის ატუნიშნავთ, რომ ეროვნულ მოძრაობას ბელადი არ სჭირდება. ჩვენც ამ აზრისა ვართ, თუმცა მიგვაჩნია, რომ ღია კარის მტვრევა საჭირო არ არის. საქართველოში ბელადობას არავინ იჩემებს, თვით ზვიად გამსახურდიაც, რომელმაც მერაბ კოსტავასთან ერთად 50-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეროვნულ მოძრაობას.

და თუ ვინმე ფიქრობს ბელადობაზე, დე მან ჩათვალოს თავი ამ წერილის ადრესატად.

დარწმუნებული ვართ, კარგად გახსოვთ სულმნათ მერაბ კოსტავას სიტყვები: „უნდა გიყვარდეს ეროვნული მოძრაობა და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში“, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთებს მხოლოდ ახსოვთ... გვინდა ყველამ იცოდეს, რომ არავითარი კერპი ჩვენ არა გვყავს და არც გვეყოლება. ჩვენი ერთადერთი ხატი სამშობლოა.

ვერანაირი დიქტატი საბოლოოდ საღ აზრს ვერ დაამარცხებს. ჩვენ კვლავ ჩვენი პოზიციის ერთგულნი ვართ!

გაუმარჯოს **თავისუფალ, დემოკრატიულ** საქართველოს!

**P. S. ეს წერილი უკვე დასრულებული გვქონდა, როდესაც ტელევიზიით გვაუწყეს: ყველა, ვინც ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებს არ იზიარებს, ეროვნული მოძრაობის გარეთ იგულისხმებაო.**

**აქ კომენტარი ზედმეტი არაა, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებთ.**

**თსუ სტუდენტები**
**ნუგზარ წიკლაური**
**გია მამალაძე**
**(სულ 165 ხელმოწერა)**

**რედაქციისაგან: ეს წერილი გამოქვეყნდა № 10 გაზეთ „საქართველოში“. ავტორთა დაჟინებული თხოვნით მას „ახალგაზრდა ივერიელშიც“ ვბეჭდავთ. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ წერილში დაყენებული საკითხები მეორეხარისხოვნად გამოვაცხადოთ, მაგრამ დროა გაზეთების ფურცლებზე ტელე თუ რადიოგადაცემებში, სხვადასხვა შეკრებაზე პირველ რიგში ყურადღება პოლიტიკურ კონცეფციებზე, თავისუფლების მოპოვების გზების და საშუალებების ძიებაზე გამახვილდეს. ამ საკითხებზე კამათი, პოლიტიკური დისპუტები მხოლოდ ხელს შეუწყობს საერთო საქმეს. მაშინ აღარ იქნება საჭირო სრულიად უსარგებლო პაექრობა და რედაქციაში ერთობლივი დემონსტრაციული სვლა (ყოველ შემთხვევაში — „ახალგაზრდა ივერიელში“). კონსტრუქციულ, კონსოლიდაციისკენ მიმართულ წერილებს რედაქცია მხოლოდ მიესალმება.**

სტუდენტური ფურცელი

[illegible]
მხრივ ალბათ ელექტრო-
ადივით. გადმოეცემოდა
დედაქალაქში მობინადრე
ლებს.

# ეკატერინოფელდის გამარჯვება

**გთავაზობთ წერილს გერონტი ქიქოძის წიგნიდან — „ეროვნული ენერგია", რომელიც 1919 წელს დამოუკიდებელ საქართველოში დაისტამბა.**

ოცდაათი ვერსტის სიშორეზე ჩვენი დედაქალაქიდან [illegible] ბრძოლა, რომელიც თბილისის დასაპყრობად იყო დაწყებული. ეს ბრძოლა [illegible] სისხლისმღვრელი [illegible] თბილისის კედლებთან რომ მომხდარიყო. [illegible] ქართველი რასის გამარჯვებით დამთავრდებოდა, [illegible]

[illegible]

მაგრამ ეკატერინოფელდის გამარჯვების მნიშვნელობა მარტო [illegible] რეზზე, სადაც დღეს მოიურ გერმანიიდან მოსული ახალშენები სახლობენ, მოხდა ქართველ და სომეხ ერის საბოლოოდ ფსიხიური გამიჯვნა. ჩვენ უკანასკნელ საუკუნეების განმავლობაში მარტო მეზობლები როდი ვიყავით: ალაგ-ალაგ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ვცხოვრობდით არეულად და ჩვენ შორის თითქო წაიშალა სულიერი განსხვავება. საქართველოში მობინადრე სომხობამ თითქო დაჰკარგა ყველა ეროვნული თვისებები: ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორიული ტრადიციის გრძნობა და გვარტომობის მახსოვრობა.

ჩვენ გვწამს, რომ რომელიმე გურჯაანელი ან ატოცელი სომეხი შეიძლება სრულიად გულწრფელად თავს ქართველ მოქალაქეთ ჰგრძნობდეს და საუკეთესო სურვილებით მიდიოდეს რესპუბლიკის ლაშქარში. მაგრამ საკმაოა, რომ ის ბრძოლის ველს მიუახლოვდეს, საკმაოა ათასი წლის წინათ დაშორებული თანამემამულეები დაინახოს და მათი ყიჟინა გაიგონოს, რომ ერთს წუთში სრულიად გარდაიქმნეს და „ანდრანიკასა" და „ჰაირენიკის" სახელების შთაგონებით მომთვარულივით ჰდროს ლაშქრის მხარეზე გადავიდეს. ამიტომ დღეს მართლაც არც ერთი სომეხი არ არის სანდო. ის რაც ხდება, არ არის ღალატი ამ სიტყვის ტრივიალურ მნიშვნელობით: ესაა რასიულ სტიქიონის გამარჯვება, რომლის წინაშე სუსტია ცალკე პიროვნების შეგნება.



საშინელ ტკივილებს იწვევს ამ ორი თანაშეზრდილი ეროვნული სხეულის გათიშვა. სახალხო გვარდიის მხნე ბელადმა ვ. ჯუღელმა 27 დეკემბერს პარლამენტის ტრიბუნაზე გულწრფელად აღიარა, რომ ქართველ გვარდიელებს მეტისმეტად უმძიმდათ ლტოლვილ მტრის რაზმების გაჟლეტა. ეს ადვილი გასაგებია. ქართველ ხალხს შთაგონებული ჰქონდა ყალბი რწმენა, თითქო ომი არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის მოგონილი სპორტი იყოს და დემოკრატიის ბატონობა შეუშფოთებელს მშვიდობიანობას მოასწავებდეს. ნამდვილად კი სწორედ დემოკრატია აწარმოებს ყველაზე ულმობელ ომებს. თუ მართალია ის ცნობა, რომ სომხის ჯარმა ეკატერინოფელდის ბრძოლაში დაჰკარგა თითქმის მესამედი თავის შემადგენლობისა, თუ მართალია ის ცნობა, რომ ერთ უბრალო აჯანყებულ სომხურ სოფლის აღებას მარტო ჩვენი მხრით ორმოცდაათ კაცამდე შეეწირა, შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ ხანაში უფრო სასტიკი და სისხლის მღვრელი ომები არ უწარმოებია საქართველოს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკატერინოფელდისა, შულავერისა და დაგეთ-ხაჩინის შეტაკებები უბრალო ეპიზოდებია და მთელი დღევანდელი ქართულ-სომხური ომიც მხოლოდ შესავალია იმ დიდი მომავალ შეჯიბრებისა, რომელმაც [illegible] კრატიული სახელმწიფოს ბედი უნდა გადასწყვიტოს [illegible]

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ შეჯიბრებაში ქართველობას მხოლოდ საკუთარ მილიტარულ ენერგიის იმედი უნდა ჰქონდეს. წავიდა ის დრო, როცა საქართველოს თავის ეროვნულ მიზნების მისაღწევად ინტერნაციონალურ ძალების გამოყენება შეეძლო. დავით აღმაშენებელის ლაშქრის უმრავლესობას ყიფჩაღები შეადგენდნენ. მეფე ერეკლეს სომხურ-თათრული და რუსული რაზმები ჰყავდა. სცადოს და შეადგინოს დღევანდელმა ინტერნაციონალისტმა მინისტრმა ასეთი შერეული ლაშქარი: მას მტრის მუშტი პირველ შეჯახებაშივე დაშლიდა.

ეკატერინოფელდში გაიმარჯვა დემოკრატიულმა გვარდიამ. მაგრამ ეს იყო აგრეთვე ეროვნული იდეის გამარჯვება. ამიერიდან დემოკრატიისა და ეროვნების საქმე განუყოფელი იქნება საქართველოში. ამაშია ამ ისტორიული გამარჯვების მნიშვნელობა.

1918 წ.

**„ამ წიგნში მოთავსებული წერილები პირველად ყოველდღიურ გამოცემებში დაიბეჭდა დიდი ომისა და რევოლუციის დროს და შეიძლება დღეს მკითხველს უმნიშვნელოთ ან დაძველებულად ეჩვენოს ზოგიერთი მათგანი. ჩვენი თაობა ახალ კულტურის მიჯნაზე დგას და მას ძალოვანი და უჩვეულო სიტყვები სწყურია. მაგრამ ავტორს ჰგონია, რომ წინსვლა შეუძლებელია თუ დროგამოშვებით უკან არ მივიხედეთ და არ განვთავისუფლდით იმ ტვირთისაგან, რომელიც იდეების სახით მხრებზე გვაწვა წლების განმავლობაში".**

**რედაქციისაგან:** წიგნს წამძღვარებული ეს ავტორისეული სტრიქონები გვათავისუფლებს ჩვენი მინაწერის საჭიროებისაგან.

# მეც იქ მიგულეთ!

## ანუ

## პასუხი მიტინგებზე გამოგზავნილ შეკითხვებზე

**(დასასრული)**

ხავთ ჩვენებურ კონტრას-
და პოლიტიკურ პარადოქ-
რომ, სულ არ არის სირ-
ჩვენთვის გამოსადეგი
რამ მათგანაც ვისწავლოთ.
ვამბობ იმაზე, თუ რო-
გვმართებს იმ
დმი, ვინც არაერთხელ და-
თავისი ერთგულება!
ვიცი და მე უსაზღვრო
და სიხარულის გრძნო-
უფლა, როცა წავიკითხე
ურორტების მესვეურთა გა-
ბა, რომლის თანახმადაც
ზად არიან საქართველოს
ტებზე უსასყიდლოდ დაა-
ლიტველი ბავშვები!... ასე-
ლვებელი იყო საქართვე-
თელი ჯვრის მიერ მედიკა-
ის ჩატანა ლიტვაში. ხვალ-
ბათ ჩვენც ასევე დაგვიდ-
გვერდით ღვთისნიერი ადა-

ჩვენებური კონსოლიდაცი-
ტრასტებზე მოგახსენებთ
სიტყვას. ამასწინათ დასავ-
ქართველოს ერთ-ერთ რა-
ტად ორიგინალური აქ-
ტარდა. ახალგაზრდების
ჯგუფმა სხვადასხვა დაწე-
ბაში გამოჯგიმულ ლენინ-
ის ბიუსტებსა და პორტ-
მოუყარა თავი და ბუ-
ზე გამობმული მთელი ეს
ება ცენტრალური ქუჩის
ჯართივით მიახრიგინა
ბის წინ. სოფლუ-
რომ ვთქვათ, „ნაჩალნიკებს"
ხატები მიართვეს. და
ვრებავ! — იმავე ღამეს,
ლაქში, ამ პოლიტიკური
რამდენიმე პორტრეტი
და შინ წაიღეს!!! რაც
სთვის უწმინდურობაა,
სთვის სალოცავი ხატია.
ერთი გლოვობს, მეორე
ქედან დასკვნა: თუ ჩვენ
დ არ დავაზუსტეთ რას
ებით ვებრძოლოთ, ნახე-
რთველოს გადავიკიდებთ!
სწორი ყოფილან ჩემი
ლჭურვილი პირები წინა-
კამპანიის დროს. წინ-
ად რომ მირჩევდნენ, ხა-
ხვედრის დროს სტალი-
მეურნეობებზე და საბ-
ციალიზმზე კარგს თუ არ
ცუდის თქმისაგან მა-
კავებინა თავი... სხვათა
ხერხს გარემოებისდა
ღესაც წარმატებით მი-
საკმაოდ ცნობილი ავ-
ები. ერთი სიტყვით, სა-
რომ მიდგეს, კაცმა
დენი ვარლამი, აბელი
გვყავს დღეს საქართ-
სისხლი და ხორცი ორადაა
ერთი ძმა ხვალ-ზეგ ჩა-
ლენინის ძეგლს დარაჯ
მეორემ ლაყე კვერც-
ლოშოს! სხვათაშორის თი-

თო-ოროლა თუ მართლა ერთგულად დარაჯობს, სხვები საბედნიეროდ ყასიდად დგანან და ამ უცნაური პოსტით თავგაბეზრებულნი იმასღა ოცნებობენ, იქნებ რამდენიმე უნივერსიტეტგამოვლილმა და ხუთი რევოლუციის მომხდენმა გენიოსმა ამჯერადაც აუღოს ალღო დროს და კვარცხლბეკიდან თავისი ფეხით ჩამოსული ისევ ციურიხში გაიძურწოს ყველაფრის თავიდან დასაწყებად (ღმერთმა ნუ ქნას!).

რაკი სიტყვა ე. წ. „დამჭერ" ორგანოებზე ჩამოვარდა, აუცილებლად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ახლა იქაც ახალი თაობა მკვიდრდება და ღვთის შთაგონებით და სხვაგვარად არ ძალმიძს"-ო, ჩვენი საშველი არ იქნება!

მოსეირენი ხშირად ნიშნისმოგებით კითხულობენ: „მაშინ სად იყავით, მაშინ?!.." იძულებული ვარ მათ გასაგონად პირადულსაც შევეხო, სად ვიყავით ბატონებო და მე პირადად ჯერ კიდევ 1965 წელს (ე. ი. 25 წლის წინ!) განვაცხადე უარი საოკუპაციო ჯარში სამსახურზე, რის გამოც, რასაკვირველია კვალიფიციურ ფსიქიატრებს შეამოწმებინეს ჩემი თავი და ბოლოს იმან „მიშველა" რომ სამხედრო ნაწილში სასწრაფოდ გამოძახებული მამაჩემი და ამ ნაწილის უფროსი ერთ ფრონტზე ნამდვილად არ გვესწავლება. თავად განსაჯეთ:

„Факты!!!" — გვიბრიალებენ თვალებს. შენც აიღებ და დაუდებ წინ, ვთქვათ მათსავე „ლენინსკოე ზნამიას". „ეტო ნე სჩიტაეტსია, ეტო მნენიე ოდნოგო ჩელოვეკა!!!" აქით შემოგიტევს. საერთაშორისო სამართლით აღიარებულ დოკუმენტს დაუდებ — „ეტო იშჩო ნადო პროვერიტ" — ჩაიღიმებს მრავალმნიშვნელოვნად. მათსავე კონსტიტუციას ან რეფერენდუმის მასალებს მიართმევ და — „რუსკოიაზიჩნოე ნასელენიე დრუგოგო მნენია" — ავისმომასწავებლად შეგახსენებს ინტერფრონტის ძა-

უმრავლესობას კარგად აქვს შეგნებული, რომ „მთავარი მაინც მამული არის!". 9 აპრილის საშინელ ღამეს მრავალმა მათგანმა დაგვიმტკიცა რა ჯიგარიც აქვთ.

როცა საყოველთაო კონსოლიდაციაზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, თუ ვინ შეიძლება დადგეს და ვინ არა წმინდა დროშის ქვეშ. მარტო „პატრიოტულ სიებში" ჩაწერაც არაფერს არ ნიშნავს. მითქვამს და კიდევ ვიმეორებ — ჭეშმარიტად ყველას უნდა მიეცეს შანსი პავლედ მოქცევისა, მაგრამ განა იმათაც თვალახვეულნი უნდა ვენდოთ, რომლებიც ოდენ პოლიტიკური მიმიკრიით ეტმასნებიან ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს კი ყველაზე თვალსაჩინოდ დაადასტურა ამასწინანდელმა სადეპუტატო კამპანიამ. დღემდე განცვიფრებული ვარ — ეს რა ხალხმა „იკადრა" პარლამენტში წამოსკუპება! ანგარიშსწორებიდანაც ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ კანგამოცლილი უხსენებელი უბეში მაინც არ უნდა ჩავისვათ. არც მეორე უკიდურესობაში ჩავარდნა დაგვაყრის ხეირს. მხედველობაში მაქვს ე. წ. „დოკუმენტური პატრიოტიზმი". (ზემოთაღნიშნულ ნაირნაირ სიებს ვგულისხმობ). ხმამაღლა უნდა ვთქვათ: სანამ პატიოსნება, პატრიოტიზმი და დედის სიყვარული რაღაც თავმოსაწონებელ ანომალიურ გადახრად კი არა, ჩვეულებრივ ნორმად არ აღიქმება, სანამ თითოეული ჩვენთაგანი არ დადგება იქ, სადაც ქარიშხალია და გულში არ იტყვის: „აქ ვდგავარ

ნამარი ამოჩნდნენ. დაინტერესებულ პირებს ამ ფაქტს ნებისმიერ დროს დაუდასტურებენ ჩემი მრავალრიცხოვანი ჯარის ამხანაგები. სხვებს ჩემზე მეტი აქვთ გადატანილი... ახლა რაც შეეხება პირადად ჩემს „გაწევრიანებას" ამა თუ იმ პარტიაში, პირველ რიგში უნდა ვაღიარო, რომ მე პოლიტიკოსი არ გახლავართ (თუ მწერლობა თავისთავად პოლიტიკაც არ არის!) და ალბათ ამიტომაცაა, რომ არასოდეს არ ვყოფილვარ და ვერც ვიქნები რომელიმე პარტიის წევრი. თუ ნამეტანი ხმამაღლა ნათქვამი არ გამომივა „ნაკუწ-ნაკუწ, ნაკუწ-ნაკუწ კი არა" მე ვეკუთვნი მთლიანად ჩემს საქართველოს და მის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას!

ყოვლისმომცველ ეროვნულ მოძრაობაში ყველა თავისი ბილიკებითა და შესაძლებლობებით შემოდის. მაგრამ რაკი ყველა გზა რომში მიდის, ერთმანეთთან გასაყოფიც არაფერი არ უნდა გვქონდეს. ერთი მიზნისაკენ სხვადასხვა გზებით მავალნი ერთმანეთს ბარიკადებსა და ხერგილებს არ უნდა ვუწყობდეთ! ზოგი მიზნით გამართლებულ საშუალებებს ეძებს, ზოგი მოკლეზე გადასვლას ლამობს, ზოგი ფიქრობს შორი გზა მოვიაროთ და მშვიდობით მოვიდეთო, ზოგი ცდილობს ოკუპანტს თვალებში ჩახედოს და ადამიანური ლოგიკით შეაღწიოს დათვის მტაცებლურ ინსტინქტებში. ხოლო თუ რა ძნელია ამ ინსტინქტებში შეღწევა ვის-ვის და ქართველებს ლას... არ შეიძლება ამ დროს ერთი ზღაპარი არ გაგახსენდეს. კურდღელი იმან შესჭამოს, ვინც ყველაზე უფროსიაო და — მელამ თქვა, მე ასი წლის ვარო, მგელმა მე ორასისო, ტურამ მე სამასისო. დათვმა — მე სულ ხუთი წლისა ვარ და აბა ერთი ვინმე წინ გადამიდექითო!

უთუოდ 5 წლის ბაჯბაჯას კარნახითაა საკდესის მიმომხილველის ვინმე ვ. პეტრუნიას საზიზღარი წერილი, რომელიც მოსკოვის უჩვეულო საპირველმაისო დემონსტრაციას ეხება.

„...გამოჩნდა ადამიანთა მოღრიალე მასა ლოზუნგებით, რომელთა შინაარსი პოლიტიკური ინტრიგანობისა და აშკარა ხულიგნობის კვინტესენციას წარმოადგენს. მათ შორის იყო მოწოდება: „თავისუფლება ლიტვას", „თავისუფლება მოსკოვს" („კომუნისტი" 15.V.90).

მონობაზე თანხმობა თუ უზნეობაა, თავისუფლების მოშიშარი ადამიანები საშიში ხალხია!

აბა როგორ გინდა შეაღწიო იმ პირველყოფილ ინსტიქტებში რომელიც არა თუ ლიტვის, არამედ იმ მოსკოვის თავისუფლებასაც კი ხულიგნობის კვინტესენციად მიიჩნევს, სადაც ყოველ წელიწადს რუსი ყმაწვილებით დაკომპლექტებული რაზმები ჰიტლერის დაბადების დღეს აღნიშნავენ! (სხვათაშორის კრემლის სიახლოვეს!).

ერთი სიტყვით დამპყრობელთან „სამართლებრივი" მოლაპარაკების ყოველი გზა ისე მიდის, როგორც ბავშვობაში წაგვიკითხავს: მარჯვნივ წახვალ დაიღუპები, მარცხნივ წახვალ — დაიღუპები! წინ წახვალ ცეცხლია! უკან წახვალ — მორევი! მიდი ახლა და მოელაპარაკე თუ ბიჭი ხარ! დიალოგი იქაა შესაძლებელი, სადაც ორივე მხარე თანაბარ პირობებშია, სადაც დალტონიზმი აბსოლუტურად გამორიცხულია და თეთრს, შავსა და წითელს თავთავის სახელს არქმევენ...

თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა ყველგან და ყოველთვის ეკლიანი იყო. მაგრამ სულ გზაში ხომ არ ვიქნებით. ბოლოს და ბოლოს, დროა იმაზეც ვიფიქროთ, ფინიშზე რა ძალებით და ვისთან ერთად მივალთ... სანამ მოსე არ ჩანს (ან არ გვინდა დავინახოთ!), ორმოცი წლის თუ არა, ორმოცი დღის „წყალი" მაინც მოვიმარაგოთ, რათა ერთმანეთს ვუწილადოთ უდაბნოს გზებზე სულის მოსაბრუნებლად.

დღეს, როცა ხალხის დიდი ნაწილი საბედნიეროდ შორიდან მჭვრეტელის როლით არ კმაყოფილდება და აქტიურ მოქმედებას ესწრაფვის, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ იმ პიროვნებებმა, რომელთა სიტყვას და მოქმედებასაც მაგალითის ძალა აქვს. თუმცა აწი დროა ხალხმაც უფრო გულდასმით მიაყურადოს ვინ რას მოუწოდებს კრიტიკულ მომენტში ვის მხარეზე დადგეს და ვინ არ იწინამძღვროს... მითუმეტეს ახლა ისეთი დროა სვეტიცხოვლის დამანგრეველსაც გამოუჩნდება თანამოაზრე, ხოლო უკვდავების წამლის გამომგონებელს — მოწინააღმდეგე! ყველაზე გულსაწყვეტი მაინც ისაა, როცა სანდო წინამძღვრებად დაგულებული ლიდერები ჯერ შეფარვით კენჭაობენ, მერე კი დაუფარავად, სახალხოდ დაერევიან ხოლმე ერთმანეთს და საკმაოდ მოუზომავი გამოხათქვამებითა თუ მოქმედებით აბნევენ ისედაც დაბნეულსა და აფორიაქებულ ამერ-იმერს. ვერცერთი სუკი და დამპყრობელი ვერ მოიფიქრებს იმ სიგლახეს, რასაც ზოგჯერ ერთი ქართველი მეორეს დამართებს! (სხვათაშორის „მონანიებამ" იქნებ იმითაც შესძრა მთელი მსოფლიო, რომ მიცვალებულის ამოთხრით დასჯამ მოულოდნელობის ეფექტით ეგზოტიკურ შოკში ჩააგდო მაყურებელი). მერედა რისთვის, ღმერთო ჩემო, მერედა რისთვის! რა დროს იმაზე ფიქრია რასაც ზოგიერთი ანგარიშობს! თითქოს მოკლეზე გადასულები, უკვე თავისუფლების მაშხალებით გაჩახჩახებულ რომში ვიყოთ და რაღაცრაღაცეებს ვინაწილებდეთ!.. ნუთუ ჰელსინკი II-ის შეხვედრასაც მტრის დაგეგმილი დაქსაქსულობით უნდა შევხვდეთ?!

ამ ბოლო ხანებში სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები სამოქალაქო ომის შესახებ. ვინ იცის ეს შემზარავი ომი იქნებ მართლაც ენატრებოდეთ იმ პოტენციურ სისხლისმსმელებს, რომლებმაც ან 30-იან წლებში ვერ მოასწრეს წყურვილის მოკვლა ან დემოკრატიზაციის გზაზე ადმინისტრაციული შავი გეგმები ეფუშებათ და შურისძიებით გონდაბინდულნი ყველაფერზე მზად არიან. შენიღბულად ჩასაფრებულნი მოვლენების განვითარებას ელოდებიან და ცეცხლის გამღვივებელ ნაპერწკლებს ჩუმ-ჩუმად უბერავენ სულს... მათ, რა თქმა უნდა, ისიც კარგად იციან, რომ სამოქალაქო ომი ერთბაშად არ იწყება. ჯერ, როგორც წესი, ცალკეული პიროვნებები წაკინლკავდებიან (ჩასაფრებულთა გენერალური გეგმის მიხედვით სასურველია ესენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები იყვნენ!), მერე მათი მოჰხრეები გადაეკიდებიან ერთმანეთს, მერე ჯგუფი ჯგუფს დაერევა; მერე კი... მერე რაც მოხდება, ღმერთმა გვაცილოს!

ორიოდე სიტყვა ინტერფრონტზე. თავს ნუ მოვიტყუებთ. როგორც ბალტიაში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, ინტერფრონტი თადარიგიანად გაწრთვნილი დესანტია და იგი ჩვენთანაც № X (არის ასეთი სამხედრო გამოთქმა) მზადყოფნაში ჩახმახშეყენებული სარეზერვო ძალაა, რომელიც რაღაცით აპენდიციტს მოგვაგონებს. აპენდიციტი კი, როგორც მოგეხსენებათ, კაცმა არ იცის როდის გაგვისკდება გულღვიძლში!... ქირურგების აზრით, მიუხედავად მოჩვენებითი უვნებლობისა, აპენდიციტი მხოლოდ სპირტიან ქილაში ჩადებული არ არის საშიში!

ღმერთო, შენ გვიშველე! — დღეს, როცა ამდენი ხაფანგი დამახეა დაგებული, როცა ხილული და აისბერგული ძალები ჯვარედინად გვიტევენ, როცა სამშობლო ქვეყნის ბედი მართლა სასწორზეა შეგდებული, ჩვენ ერთმანეთი ჯგუფების, პარტიებისა და სიების მიხედვით არ უნდა გვყავდეს საძებარი.

გახსოვთ ალბათ, გახმაურებულ ფილმში „იესო ნაზარეველი". მარიამს და იოსებს იერუსალემში შესვლისას ბრბოში შვილი გაებნათ და გულგახეთქილებმა ბოლოს ღვთის სახლში იპოვეს. პატარა იესო აქეთ გაოცდა — მამის სახლში რა საძებარი ვიყავიო!..

ასევე არ უნდა გვჭირდებოდეს ძებნა ჩვენც. ღმერთმა სხვისი ჭკუის სწავლებიდან დამიფაროს, მაგრამ ვფიქრობ ყოველი ჭეშმარიტი ქართველი, რომელიც „ქართვლის ბედმა აიყოლია" სიებში კი არ უნდა გვეგულებოდეს, არამედ იქ, სადაც ისტორიულ ქარტეხილებში გამოტარებული ერის სანთელი ციხეებს და ჩვენი ხელისგულის მოფარებას ელოდება.

მეც იქ მიგულეთ.

**რომან მიმინოშვილი**

# საით მიდის ხომალდი?

**თითქმის** სამი მეოთხედი საუკუნე მოანდომა საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანის სულიერ კოროზიას და ეროზიას და ეს მხოლოდ იდეოლოგიური აგრესია როდი იყო, თუმცა, ამანაც გამოიწვია ზნეობრივი დაშლა და დაკნინება. კონსტანტინე გამსახურდიას აქვს ერთი შესანიშნავი პასაჟი — როგორ ათვინიერებენ მიმინოს, რომ მტაცებელმა ფრინველმა თავისი სამონადირეო ღირსება პატრონის სასარგებლოდ გამოიყენოს. გამუდმებული ჩაძახებით („ააააა...“) ამტერებენ საწყალ ფრინველს. არ ვიცი, ჰქონდა თუ არა დიდ მწერალს მხედველობაში ჩვენი ცხოვრება, მაგრამ ფაქტია, რომ ათეული წლების განმავლობაში საბჭოური იდეოლოგია ჩვენ სწორედ მოთვინიერებულ მტაცებლებად გვზრდიდა. ჩვენი სისხლით და ოფლით მოპოვებული ყოველგვარი „ნანადირევი“ ორუელისეულ „სიყვარულის სამინისტროში“ სვავებს ასუქებდა და ჩვენდა ჭირად უკანვე გვიბრუნდებოდა. დიდხანს ვიყავით გაბრუებულნი კლასთა ბრძოლის მითით, მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ლპობადი აირების შიშით, თავდაცვის სამინისტროს, უშიშროების კომიტეტის და სხვა გარეშე და შინაურ მტერთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გაძლიერების სურვილით და აზრად არ მოგვდიოდა, რომ ერთი იყო თავდასხმის სამინისტრო, ხოლო მეორე — საშიშროების კომიტეტი...

მთელს ამ სისტემას წარმართავდა ბოლშევიკური პარტია, რომელსაც ერთ დროს არც ისე უსაფუძვლოდ (როგორც დღეს ბევრს უნდა მიიჩნიოს) ლენინურ-სტალინურ პარტიას ვუწოდებდით. სწორედ ამიტომ მორალური თვალსაზრისით არასდროს დამდგარა კომპარტიის წინაშე ასე მწვავედ ყოფნა-არყოფნის ჰამლეტური დილემა, როგორც დღეს. რამ დააყენა ეჭვის ქვეშ პარტიის ავტორიტეტი? პირველ ყოვლისა იმან, რომ, როგორც კი ხელთ იგდო ძალაუფლება, პარტია დაიშალა ორ არათანაბარ ნაწილად და ქვეყნის მართვა დაიწყო არა პარტიული, არამედ დიქტატორული მეთოდებით. მმართველი კლასი და არა უკვე პარტია პირამიდის სახით აღიმართა, რომლის ტერასები სხვადასხვა დონის ნომენკლატურულ წრეებს შეიცავდნენ, თანდათან ვიწროვდებოდა წრეები და ბოლოს პოლიტბიუროთი და მწვერვალით — გენერალური მდივნით თავდებოდა. ეს პირამიდა უსახო პარტიულ მასაზე — ქვიშაზე იდგა. მაგრამ ისე, როგორც პირამიდა ვერ ჩაითვლება უდაბნოს ნაწილად, თუმცა, ქვიშაზე დგას, პარტიული ელიტაც გამოეყო პარტიას, ოღონდ შეინარჩუნა ძალა — ბარხანებივით დაეძრა ქვიშა ყველა ოაზისის წალეკვად. შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, როგორც პარტიამ, 1917–1918 წლებიდან შეწყვიტა არსებობა და მმართველ ფეოდალურ კლასად იქცა, მხოლოდ მისი მოძმე — სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ფრთა, ე. წ. მენშევიკური ფრაქცია, კვლავ განაგრძობდა არსებობას, როგორც პარტია.

დრომ მოიტანა და კომპარტიისადმი შიშით შექმნილ სიყვარულს ბზარი გაუჩნდა. საჭირო შეიქმნა პარტიას უარი ეთქვა ძალაუფლების მონოპოლიაზე და დაეგმო ადრინდელი მეთოდები. მაგრამ ჩვენ სანახევროდაც ვერ გავასრულეთ საქმე. უარვყავით სტალინი და სტალინიზმი, მაგრამ მისი ფესვებიდან მოუწყვეტლად. სტალინს დაბრალდა ყოველგვარი დეფორმაცია, ყოველგვარი ბოროტება, რაც კაცობრიობას თავს მოუვლინეთ, ხოლო თუ რაიმე სიკეთე მოხდა, პარტიას და ხალხს მიეწერა. როგორ ფიქრობთ, უფრო ადვილი იყო იმის გაკეთება, რაც ხალხს არ უნდოდა, ვიდრე იმისა, რასაც ხალხი ესწრაფვოდა? პასუხი ნათელია! მაშინ მით უფრო გაუგებარია, როგორ შეძლო ერთმა კაცმა იმის გაკეთება, რაც ხალხს არ უნდოდა? არასდროს, თვით მის სიცოცხლეში, არ ასულა ასეთ სიმაღლეზე სტალინის კულტი, როგორც დღეს. ყოვლისშემძლე ყოფილა. რაც არავის უნდოდა, იმას აკეთებდა! რისთვის დაგვჭირდა სტალინის, როგორც სატანის, კულტის ესოდენ აღზევება? იმისათვის, რომ იგი გამოგვეყო ლენინური პარტიიდან და ამით პარტიის ავტორიტეტი გადაგვერჩინა!

ეს ცდა წარუმატებელი გამოდგა. ხალხმა არ დაიჯერა, რომ ოცდაათი წლის მანძილზე „უმწიკვლო და უცოდველ“ პარტიას სათავეში მისი ბუნებისათვის შეუფერებელი უზურპატორი ედგა. ხალხმა ისიც დაინახა, რომ სტალინის სიკვდილს არ მოჰყოლია პარტიის პრინციპული გარდაქმნა, თუმცა, კიდევ ერთი ოცდაათწლიანი ციკლი მოვილიეთ. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხალხი იტყვის — ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო. რა თქმა უნდა, შეუძლებელია სტალინის პიროვნული თვისებების, მისი ძალისა თუ ძალადობის უგულებელყოფა, მაგრამ დროა, ემოციები შეიცვალოს მეცნიერული ანალიზით. ხომ არ იყო იმთავითვე პარტიის ბუნებაში ჩამარხული რაღაც ისეთი თვისება, რასაც აუცილებლად სტალინიზმი უნდა მოჰყოლოდა? ხომ არ არის სტალინიზმი კანონზომიერი გაგრძელება, თუ გნებავთ, გაღრმავება იმ სისასტიკისა და დაუნდობლობისა, რომელიც პარტიის დამაარსებელმა. მისმა ნამდვილმა აღმზრდელმა ლენინმა გამოიჩინა? თითქმის შვიდი წელი ედგა გამარჯვებულ პარტიას და სახელმწიფოს სათავეში რევოლუციის ბელადი. ეს არც ისე ცოტა დროა. ჩვენ დღეს ვმარჩიელობთ, როგორ მოიქცეოდა 30-იან წლებში ლენინი, მაგრამ ამით ხალხს ვერ დავამშვიდებთ, პირიქით, უფრო დავაშინებთ, რაკი დაჟინებით ვუმტკიცებთ, ლენინურ გზას ვუბრუნდებითო. რა გზაა ეს, ადგილზევე დახვრეტის, ეკლესიის გაძარცვის, დამფუძნებელი კრების გარეკვისა?

სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, დადგა დრო, ბოლომდე ითქვას სიმართლე: ჩვენმა თაობამ, რომელიც, რა თქმა უნდა, სათანადოს მიუზღავს მიხეილ გორბაჩოვს, სიმართლის თქმის საშუალება რომ მოგვცა (რაც კომუნისტურ პარტიაში რევოლუციურ გარდაქმნას უტოლდება), უარი უნდა თქვას არა მხოლოდ სტალინურ მემკვიდრეობაზე, არამედ გაემიჯნოს ადამიანურობისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ ყველა დანაშაულს, რომელიც კომუნისტურ პარტიასთან არის დაკავშირებული. ჩვენ უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, რომ ეს დანაშაული არა ცალკეულ პიროვნებებს დავაბრალოთ და ამით თავი გადავირჩინოთ, არამედ მოვინანიოთ იგი და განვიწმინდოთ. მხოლოდ ეს არის გზა პარტიის გადარჩენისა და ხალხის ნდობის მოპოვებისა.

მაგრამ რისთვის გვინდა ეს ნდობა? იმისთვის ხომ არა, რომ ხელახლა შემოვაპაროთ ჩვენი დიქტატურა? დღეს ჩვენ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინასაყრილობო პლატფორმიდან გამომდინარე, და, რა თქმა უნდა, თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, სხვა შეხედულება გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურაზე და კლასობრივ ბრძოლაზე. დღეს ანაქრონიზმია ლაპარაკი გერმანელი, რუმინელი, რუსი და ქართველი მუშების საერთო ინტერესებზე მათი ეროვნული ინტერესების გაუთვალისწინებლად. დღეს ანაქრონიზმია იმაზე ლაპარაკი, რომ პოლიტიკური სუვერენიტეტი შესაძლებელია რესპუბლიკაში კოსმოპოლიტიკური პარტიების არსებობის პირობებში. სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტია უნდა იყოს რესპუბლიკის კომპარტია, დამოუკიდებელი პარტია და არა ვისიმე სამხარეო თუ საოლქო ორგანიზაცია, როგორც აქამდე იყო. საქართველოს კომპარტია უნდა ემსახუროს საქართველოს, თავს შემოევლოს, ენაცვალოს მას და ეს იქნება კაცობრიობისადმი გაწეული სამსახურიც. სრულ გაუგებრობად მიმაჩნია რესპუბლიკური ორგანიზაციიდან საკავშირო პლატფორმაზე ყოფნის მომიზეზებით გამოყოფა, რასაც გულმოდგინედ დაუჭირა მხარი ცენტრმა ლიტვაში. ერთი მხრით პოლიტბიუროს დაუშვებლად მიაჩნია პარტიის დაყოფა ეროვნული ნიშნით და მეორე მხრივ თვითონვე მიესალმება ამას, როგორც კი რესპუბლიკური ორგანიზაცია დამოუკიდებლობას მოითხოვს, რათა პარტიის თუნდაც უმცირესობაზე განახორციელოს დიქტატი. ამ შემთხვევაში ცენტრი თავად უწყობს ხელს ფრაქციულობას და პარტიის დაშლას ეროვნული ნიშნის მიხედვით. საქართველოს კომპარტია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია და ასეთადაც დარჩება დამოუკიდებლობის შემთხვევაში. თუ მაინც აღმოჩნდება უმცირესობა, რომელიც არ იზიარებს დამოუკიდებლობის იდეას, მას უფლება აქვს, დაიცვას პოზიცია პარტიის შიგნით, მაგრამ გამოყოფა უნდა ჩაითვალოს პარტიიდან გასვლად და ცალკე პარტიის შექმნად, რაზედაც საქართველოს კომპარტიის ყრილობამ თავისი პოზიცია უნდა გამოხატოს. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს — ცენტრალური კომიტეტის არჩევა მხოლოდ ყრილობის პრეროგატივაა. ყრილობისაგან დამოუკიდებლად შექმნილი ცენტრალური კომიტეტი, ისევე როგორც საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ნონსენსია. ახლადარჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტი საკანონმდებლო ინიციატივით უნდა შევიდეს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წინაშე — ცნობს თუ არა იგი კანონიერად რესპუბლიკის ტერიტორიაზე მეორე კომუნისტური პარტიის არსებობას, თუკი ეს პარტია იბრძვის საქართველოს პოლიტიკური სუვერენიტეტის წინააღმდეგ? ვფიქრობ, ყრილობის რეზოლუციაში უნდა აისახოს ეს გარემოება.

მაგრამ არ კმარა საქართველოს კომპარტიის მხოლოდ გამოყოფა საკავშირო ორგანიზაციიდან. მან თავისი საპროგრამო დოკუმენტებით პასუხი უნდა გასცეს კითხვას: თანახმაა თუ არა იგი, უარი თქვას თავის კლასობრივ სტატუსზე, იქცეს თავად-აზნაურული ელიტიდან ნამდვილ პარტიად, რომელიც სხვა პარტიებთან პატიოსან პოლიტიკურ, პარლამენტურ ბრძოლაში ეცდება მოიპოვოს ხალხის ნდობა? პასუხი უნდა გაეცეს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან კითხვასაც: თუ იგი უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურას (და საერთოდ ყოველგვარ დიქტატურას), თუ აღიარებს ე. წ. პროლეტარიატის სრულიად განსხვავებულ სტატუსს XIX საუკუნის შუა წლების პროლეტარიატისაგან, თუ იგი მიიჩნევს, რომ თანამედროვე მსოფლიოში სულ სხვაგვარია კლასთა ურთიერთობა, თუ აღიარებს, რომ მისი მიზანი აღარაა უტოპიური კომუნიზმის მშენებლობა და რომ სოციალიზმი დღევანდელი გაგებით მწარმოებელი ძალების სულ სხვაგვარ ურთიერთობაზეა დამყარებული, ვიდრე მარქსსა და ლენინს წარმოუდგენიათ, რომ ეს არის არა დაუნდობელი ბრძოლა, არამედ მისწრაფება კონსენსუსისაკენ, რის შესაძლებლობაც განვითარებულ „კაპიტალისტურ“ ქვეყნებში დასაშვები გახდა, უფრო მეტიც — მონარქიის, კაპიტალიზმის და სოციალიზმის შეხამება (შვედეთი), მაშინ რამდენად სწორია პარტიის სახელწოდება — კომუნისტური?

ამასწინათ ერთმა მეგობარმა მითხრა: პარტიიდან გასულ კაცს ვუთხარიო, როცა შედიოდი, ორმა კომუნისტმა ხომ მოგცა რეკომენდაცია, ახლა რომ გამოდიხარ, რატომ არ თხოვ ორ უპარტიოს რეკომენდაციას, იქნებ უკან არ გიღებენო! ამ ხუმრობაში არის მწარე სიმართლის მარცვალი. უნდა დავფიქრდეთ, რამ გამოიწვია ასეთი დაპირისპირება?

უნდა გავიმეორო ჩემი წერილის დასაწყისი: „თითქმის სამი მეოთხედი საუკუნე მოანდომა საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანის სულიერ კოროზიას და ეროზიას და ეს მხოლოდ იდეოლოგიური აგრესია როდი იყო...“ ეს არც მხოლოდ უხეში ძალადობა გახლდათ. შემუშავდა ადამიანის სულის მოსყიდვის მთელი სისტემა, რომელსაც ემსახურებოდა არა მხოლოდ ლენინური და სტალინური პრემიები, არამედ აუარებელი სხვა პრივილეგიები და წოდებები: სოციალისტური შეჯიბრების გარდამავალი დროშები, სტახანოველობა, სოციალისტური შრომის გმირის წოდება, შრომითი დიდების ორდენები, ურიცხვი რკინები და ქეტონები „შრომითი წარჩინებისათვის“, დამკვრელური ბრიგადები, ჯილდოებად დარიგებული დეპუტატობა, ასობით წოდებები: მრავალსაფეხურიანი „სახალხო“ არტისტები, მხატვრები, მწერლები (ავტონომიური, მოკავშირე რესპუბლიკების, საკავშირო), სპორტსმენების თანრიგები, ოსტატობის კანდიდატები, ოსტატები, საერთაშორისო კლასის ოსტატები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, დამსახურებული და სახალხო მასწავლებლები, ექიმები, მელიორატორები, რაციონალიზატორები, ბუღალტრები, გმირი დედები და ვინ მოთვლის! რიგდებოდა ეს ქაღალდები, დიპლომები, კაპიკიანი ქეტონები და გვასულელებდნენ ყველას, დიდს და პატარას, ვითომც ჩვენში შრომა ფასდებოდა. და ეს „სახალხოები“ და „დამსახურებულები“ უცხოეთში აღებულ უზარმაზარ ჰონორარებს პატიოსნად აბარებდნენ საბჭოთა საელჩოებს და თვითონ „კოკა-კოლას“ ნაცვლად ნერწყვს ყლაპავდნენ, რაკი ჯიბეში ცენტიც არ უჩხაოდათ. ეს იყო ადამიანის გაუგონარი ექსპლოატაცია ქვეყანაში, რომელიც ექსპლოატაციის მოსპობის მიზნით შეიქმნა. მაგრამ სხვა რაკი არაფერი არსებობდა, რაკი ხალხის შემოქმედებითი ენერგია დახურულ ჭურჭელში ვერ ჩაიკეტებოდა, იგი უნებურად წარიმართა იმ სადინარით, რაც დაუტოვეს. შემოქმედებითი შრომის ყალბმა ანაზღაურებამ, სადღეგრძელო-საკვეტონო მარათონმა, ურომლისოდაც საცხოვრებელ მინიმუმზედაც კი ჭირდა ფიქრი, კიდევ უფრო დასცა ზნეობა, იყიდებოდა ყველაფერი — სკოლის ატესტატი, უმაღლესის დიპლომი, პარტბილეთი, ორდენი, წოდება... იყიდებოდა სინდისი. იყიდებოდა ფულის, პროტექციის, შანტაჟის საშუალებით. ხელი ხელს ჰბანდა და პირის დასაბანად არ გვეცალა...

უფსკრულის პირას ვდგავართ. და ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური კრიზისი. უფრო დიდი უბედურება გვჭირს: ზნეობრივი კრიზისი. ერთიანი, მონოლითური, კონტინენტური, ევრ-აზიული სახელმწიფოს შენარჩუნება ისეთივე უტოპიაა, როგორც კომუნიზმი. ხალხები უნდა დაუბრუნდნენ ფესვებს, საიდანაც საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა მათი ეროვნული ჰაბიტუსი, მხოლოდ მშობლიურმა ფესვებმა შეიძლება იხსნან ისინი. ყველამ თავის თავს უნდა უშველოს!

იძირება ცოდვებით დამძიმებული იმპერიული ხომალდი. ამაოდ მოგვიწოდებს კაპიტანი, ჩვენი სხეულებით ავეფაროთ გემის დამსკდარ ფერდებს. ვიდრე ოკეანის სიღრმეში ჩატრიალდება მორევი, თავს უნდა უშველოს ყველამ, ვისი მასაც ხომალდის მასაზე ნაკლებია, გასწროს კატასტროფის ზონას, თორემ ვერაფერი უშველის, რაგინდ კარგი მოცურავე იყოს. ჯერ ხმელეთზე უნდა გავიდეთ და თუ მართლა გვიყვარს ერთმანეთი, თუ მართლა ვჭირდებით ერთმანეთს, იქ უნდა ვესწრაფოთ კეთილ მეზობლობას.

# შიდსი: რა მოგველის ხვალ?

შიდსის ეპიდემიის გავრცელების შესახებ არსებული ყველაზე ოპტიმალისტური პროგნოზებიც კი თავზარდამცემია.

კომპიუტერული პროგნოზით მიმდინარე წლის ბოლოს ინფიცირებული იქნება 1600 ადამიანი, 1991 წლის ბოლოს — 6200, კიდევ ერთი წლის შემდეგ — 23.500, 1993 წლისათვის — 89000, საუკუნის დასასრულს კი დაახლოებით მილიონნახევარი. გარდა ამისა, მძიმედ დაავადებულთა რიცხვი 30000 გადააჭარბებს.

წარმოდგენილი გაანგარიშება ოპტიმისტურად ითვლება. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამალეის სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გრძელვადიანი პროგნოზების მიხედვით, თუ სახელმწიფო ორგანოები არ გაატარებენ გადაუდებელ ღონისძიებებს, 2006 წლისთვის, ე. ი. 15 წლის შემდეგ, ვირუსმატარებელთა რიცხვი საბჭოთა კავშირში შეადგენს 50 მილიონ ადამიანს, 1989 წლიდან 2010 წლამდე დაიღუპება 20 მილიონი კაცი, ხოლო 2010 წლისათვის სენი შეიწირავს საბჭოთა კავშირის მთელი ახალგაზრდობის 40%-ს. ამ დროისათვის გლობალური ეპიდემიის პირობებში ეკონომიკა უკვე უძლური იქნება განაგრძოს ფუნქციონირება.

გამაოგნებელია ზოგიერთი დასავლელი მეცნიერის ვარაუდი. მათი აზრით, მტრის ხატის ძიებით გართული საბჭოთა კავშირი სათანადოდ ვერ შეაფასებს საფრთხეს, ვერ მიხვდება, რომ დღეს მას ყველგანმავლებსა და ჯავშანმზიდებზე მეტად ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტები და შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინა სჭირდება. ასე რომ, უახლოესი 10-15 წლის შემდეგ სსრკ-ში ტანკების რაოდენობა გადააჭარბებს ტანკისტებისას. არანაკლებ პესიმისტურია მათი პროგნოზები თავიანთი ქვეყნის მომავლის თაობაზეც. შიდსის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიყენებული ზარალი 90-იანი წლების დასაწყისისათვის შეფასებულია 1000 მილიარდი დოლარით.

მიუხედავად მძლავრი სამედიცინო ინდუსტრიისა და ავადმყოფობასთან ბრძოლის დაგროვილი გამოცდილებისა, აგრეთვე ამ მიზნით გამოყოფილი კოლოსალური თანხებისა (უკვე 1996 წელს აშშ-ში შიდსთან ბრძოლისათვის დახარჯული თანხა გადააჭარბებს სამხედრო ხარჯებს), სენი მართლაც არნახული კატასტროფით ემუქრება ცივილიზებულ სამყაროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ელის უმწეო ეკონომიკის ქვეყნის შვილებს, სადაც მხოლოდ გუშინწინ იქნა უკუგდებული ბრიყვული ლეგენდა, რომ შიდსი არ ემუქრება მაღალიდეურ სოციალისტურ ბანაკს, რადგან აქ არ არსებობს სქესობრივი აღვირახსნილობისა და ნარკომანიის სოციალური საფუძვლები, სადაც მხოლოდ გუშინ ითქვა უარი შიდსის „სანიტარულ დანიშნულებაზე“, რომლის მიხედვითაც ვირუსი გაწმენდდა საზოგადოებრიობას ე. წ. „რისკის ჯგუფისაგან“ და ამით ამოწურავდა თავის მისიას, სადაც პირველყოფილი ტექნოლოგიის პირობებში სამედიცინო ინსტრუმენტების გამოყენების ხანგრძლივობა მისი ცვეთის ტოლფასია, რის გამოც ინფექციის გავრცელების უმთავრეს წყაროს სამედიცინო დაწესებულებები (!) წარმოადგენენ.

ძნელი წარმოსადგენი არც ისაა, რა გველის ჩვენ ჩამორჩენილი უნიტარული სახელმწიფოს პერიფერიაში მცხოვრები მცირერიცხოვანი ერების შვილებს, სადაც ფართო საკურორტო ბაზა, სტერილიზაციის თითქმის დაკანონებული იგნორირება, ტრადიციული გულარხეინობა და პრობლემის უგულვებელყოფის ტენდენციაა.

ნეტარია ერი და პიროვნება, რომელიც იბრძვის თავისუფლებისათვის, ოღონდ ბორკილების მსხვრევასთან ერთად პარალელურად იმაზეც ვიზრუნოთ, რომ თავისუფალი ქვეყნის მოქალაქეები ჩვენი შთამომავლები იყვნენ და რომ სწორედ ისინი შეადგენდნენ მრევლს ტაძრისას, დღეს რომ ვუყრით საფუძველს.

დღესვე დავარისხოთ ზარები, რათა ხვალ რეალურად არ აღმოვჩნდეთ ფიზიკური გადაშენების საშიშროების წინაშე.

**საქართველოს შიდსის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება (ასოციაცია „კათარზისი“)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 9 იანვარი—9 აპრილი

**ერთი წლის წინ შეწყდა თექვსმეტი ქალის სიცოცხლე თბილისის მოედანზე დაღვრილი სისხლი ისეთივე ფერისა იყო, როგორიც სასახლის მოედანზე**

**1989 წლის** 9 აპრილის კვირა დილით თბილისში მომხდარი სამწუხარო მოვლენები, რომლებმაც შეძრა ყველა საბჭოთა ადამიანის გული, უკვე ჩვენი ისტორიაა, ისეთივე, როგორიც 1905 წლის 9 იანვარია, 1912 წლის ლენის მუშათა დახვრეტაა, 1918 წლის ასტრახანის მუშების ანგარიშსწორებაა და სხვა არანაკლებ ტრაგიკული ფურცლები ჩვენი ხალხის ისტორიისა. მაგრამ ეს ისტორია არ გაქვავებულა, არ ჩამოსხმულა ისტორიული გამოკვლევებისა და კონცეფციების ბრინჯაოს ფორმებად, იგი ღია, სისხლიანი ჭრილობაა და აქედან ჯერ კიდევ უნდა გამოვიტანოთ გაკვეთილები. აქ ჯერ კიდევ დაუსჯელნი არიან დამნაშავენი, ჯერ კიდევ დაუტირებელნი არიან დაღუპულები.

თუმცა მოვლენების ფაქტიური მხარე უკვე საკმაოდ დაწვრილებით (მათ შორის მითოსური და სიურეალისტური დეტალებით) არის აღწერილი, განსჯილის გააზრება, აწონ-დაწონვა და დასკვნების გამოტანა არსებითად ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ერთი კია, აუცილებელია, თავი დავაღწიოთ თბილისისა და 1905 წლის სისხლიანი კვირის მოვლენების გამარტივებული, სწორხაზოვანი ანალოგიების ცდუნებას. შეპირისპირების სურვილი კი თავისთავად ჩნდება: იქაც და აქაც რევოლუციური სიტუაციაა; იქაც და აქაც კვირა დილაა და რიცხვიც კი ემთხვევა. მაგრამ ამ შეპირისპირებით ერთი და იგივე აზრის გამოტანა არ შეიძლება, რადგან აღარც ხალხია იმგვარი და დროც სულ სხვაა.

მიუხედავად ყველაფრისა, ისტორია მაინც გვასწავლის, თუნდაც ჩვენ არ ვიყოთ მუყაითი მოწაფეები. ვფურცლავ სერიოზულ ისტორიულ გამოკვლევას — „თვითმპყრობელობის კრიზისი რუსეთში", დაწერილს ცნობილი ლენინგრადელი მეცნიერების ერთი ჯგუფის მიერ და ვპოულობ განსაცვიფრებელ მსგავსებას 1905 წლის 9 იანვრის პეტერბურგის დემონსტრაციისა და 1989 წლის 9 აპრილის თბილისის მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილების მიღების მექანიზმებს შორის.

როგორც ცნობილია, სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი, თბილისის მოვლენების შემსწავლელი კომისიის მუშაობის დროს გაირკვა, რომ ამ მოვლენების შემსწავლელი კომისიის მუშაობის დროს გაირკვა, რომ ამ მოვლენებს წინ უსწრებდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული ორი (7 და 8 აპრილს) თათბირი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების ჯგუფისა. ჯარის გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილება არ მიუღია რომელიმე კონსტიტუციურ ორგანოს ან თუნდაც საწესდებო პარტიულ ორგანოს (მაგალითად, სკკპ ცეკას ან პოლიტბიუროს), თათბირის მიმდინარეობა არ აისახა ოქმში, მიღებული გადაწყვეტილება დოკუმენტურად არ დაფიქსირდა.

ამასთან დაკავშირებით გაჩნდა პირდაპირი ანალოგია იმ ორი თათბირისა, რომელიც წინ უსწრებდა 1905 წლის 9 იანვრის სისხლიან კვირას. ისინი გაიმართა 7 და 8 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრ, თავად პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკისთან. მასში მონაწილეობდნენ შემთხვევით და არა რაიმე სამართლებრივი რეგლამენტის ძალით შერჩეული მაღალი სამხედრო და პოლიციური ჩინები. არავითარი დოკუმენტური კვალი ამ თათბირების მუშაობის შესახებ არ დარჩენილა.

ეს იყო ეგრეთ წოდებული „ლაპარაკი" (თანამედროვე ტერმინოლოგიით — სამუშაო თათბირი), რომელზედაც „შინაურულად", კანონის წინააღმდეგ (ხომ არსებობდა მინისტრთა საბჭო, რომლის თავმჯდომარე მხოლოდ მეფეს შეეძლო) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოვლენების განვითარებაში.

საკითხი მინისტრთა საბჭოს სხდომაზე რომ განხილულიყო, მაშინ უნდა შემდგარიყო ჟურნალი ან მემორია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა ყველა მინისტრს. თუ მეფე მოიწონებდა, მემორიას კანონის ძალა ეძლეოდა. მაგრამ ყველაფერს ამას გვერდი აუარეს და შედეგები ცნობილია.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება ხსენებული მოვლენების შეპირისპირებით? საკუთარი მოსახლეობის სისხლიანი ანგარიშსწორება ყოველთვის არის სახელმწიფოებრივი ხელისუფლების არაკონსტიტუციური საქმიანობისა და მისი მერყეობის შედეგი. აქ საქმე იმდენად იმაშიაც არ არის, რომ ასეთი აქტები ტირანის, თვითმპყრობელის, მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერის და სხვათა ბოროტი ნებისა ან პოლიტიკური მოუსაზრებლობის ნაყოფია. უპირველეს ყოვლისა, ისინი ობიექტური შედეგია არასამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში სამხედრო-პოლიტიკური აპარატის ფუნქციონირებისა, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია ხელისუფალთა თუ დიდებულთა სუბიექტური განზრახვა.

დღეს ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზაზე, საფუძველს ვუყრით „ადამიანისსახიანი" სოციალიზმის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას. ამიტომაც ასეთი მნიშვნელოვანია თბილისის ტრაგედიის სრულყოფილი გააზრება და იმ აუცილებელი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც გამორიცხავს მსგავსი მოვლენების გამეორების შესაძლებლობას.

პირველ რიგში საუბარია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ჯარის გამოყენების შესახებ პარტიულ-სახელმწიფოებრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზე. ასეთი მექანიზმი განმტკიცებული უნდა იყოს კანონით **სამხედრო** (ომის შემთხვევაში), **საგანგებო** (შინაგანი უწესრიგობისა და მღელვარების) და **განსაკუთრებული** (სტიქიური უბედურების შემთხვევაში) მდგომარეობის შემოღების საფუძვლებისა და წესის შესახებ. გამორიცხული უნდა იყოს სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ წმინდა პარტიული გზით ანდა ცალკეული თანამდებობის პირების მიერ გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა.

ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებისა და საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მმართველობის უმაღლეს ორგანოებს, პრეზიდენტს, სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს (აუცილებელია, შემდგომ იგი დაამტკიცოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა — სსრკ უმაღლესმა საბჭომ და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესმა საბჭოებმა).

თბილისის მოვლენების შემდეგ სამხედრო და პარტიულ წრეებში დიდი გავრცელება ჰპოვა ტერმინმა „თბილისური სინდრომი". ქვეყნის რომელიმე რეგიონში ეროვნულ ან სხვა ნიადაგზე მასობრივი უწესრიგობის წარმოშობისას ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთი უმოქმედობის, მოქალაქეებისა და მათი ქონების უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის უნარის არქონას „თბილისური სინდრომის" მოშველიებით ცდილობენ.

ძნელია ითქვას, რა სჭარბობს ამ თავისმართლებაში — დღესვე თავისმართლებისაკენ სწრაფვა თუ ის, რომ გასული რიცხვით დაამტკიცონ 9 აპრილს თბილისში პარტიული ორგანოებისა და სამხედრო ხელმძღვანელობის მოქმედების სისწორე. ერთი რამ ცხადია: ეს არცთუ ისე უწყინარი და, რაც მთავარია, ჭეშმარიტების დამამახინჯებელი მსჯელობაა.

საზოგადოების ცხოვრების მკვეთრი გარდაქმნების პერიოდში ხელისუფლების, სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დგება ხალხის პოლიტიკური აქტიურობის ნორმალურ გამოვლინებაზე, მშვიდობიანი ანტისამთავრობო გამოსვლების ჩათვლით და მეორეს მხრივ, იმ მასობრივ უწესრიგობაზე რეაგირების საშუალებათა არჩევის პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეებისა და საერთოდ საზოგადოების სიცოცხლესა და უშიშროებას. თუ პირველ შემთხვევაში საკმარისია შემოვიზღუდოთ მხოლოდ იმ საშუალებებით, რაც საკმარისია აუცილებელი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, მეორე შემთხვევაში დროულად და გადაჭრით უნდა გამოვიყენოთ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მთელი ძალა (მათ შორის — სამხედროც), რათა ალვკვეთოთ ანტისამართლებრივი ქმედება.

თბილისის მოვლენებმა და მათზე საზოგადოების ნაწილის რეაქციამ დაგვანახა, სხვა ყველაფერთან ერთად, სტალინიზმის ათწლეულებში ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში რა ღრმად გაიდგა ფესვები ანტიჰუმანურმა წარმოდგენებმა ყალბად გაგებული სახელმწიფოებრივი ინტერესების უეჭველ პრიორიტეტზე ზოგად ადამიანურ ფასეულობებთან შედარებით. ანტისამთავრობო ლოზუნგებიანი მშვიდობიანი დემონსტრაცია ბევრი ჩვენი თანამოქალაქის (და ფუნქციონერთა თითქმის უმრავლესობის) მიერ აღიქმება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობრიობის უფრო სერიოზულ ხელყოფად, ვიდრე მისი ძალადური დარბევა, რომელსაც მოსდევს უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი. სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა 1905 წლის იანვარში ბევრად უფრო ერთსულოვნად და გადაჭრით განსაჯა სისხლიანი კვირის მოვლენები, ვიდრე ჩვენმა საზოგადოებრივმა აზრმა (თუ ვიმსჯელებთ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით, რადიო და ტელეგადაცემებით) 1989 წლის აპრილში თბილისში მომხდარი მოვლენები.

მთავარი გაკვეთილი, რომელიც ჩვენ ყველას შეგვიძლია და უნდა გამოვიტანოთ კიდეც თბილისის მოვლენებიდან, ჩემი აზრით, არის ის, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, უნდა განვიმსჭვალოთ რწმენით: უმაღლეს სახელმწიფოებრივ ინტერესს წარმოადგენს მისი ყველა მოქალაქის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების დაცვა, მათ შორის იმათიც, ვინც აკრიტიკებს ხელისუფლების სათავეში მდგომ მთავრობას და მოითხოვს მის გადადგომას. საზოგადოებამ უნდა გაითავისოს მარტივი ჭეშმარიტება — სიტყვის, მოწოდებისა და ლოზუნგებისათვის (ყველაზე მწვავესათვისაც კი) არ შეიძლება დახოცო ადამიანები!

ამიტომაც არ შეიძლება ერთმანეთის გვერდით დააყენო თბილისსა თუ ფერღანაში, სუმგაითში, ახალ უზენში, ბაქოში, დუშანბეში... მომხდარი მოვლენები.

ასევე დაუშვებელია (თუ დანაშაულებრივი არა) პარტიულ და სახელმწიფოებრივ ხელმძღვანელთა, ბაქოსა და ფერღანაში (იქ, სადაც ალვირახსნილმა და დაუსჯელობით წათამამებულმა შეიარაღებულმა ექსტრემისტებმა დაარბიეს მოსახლეობა) წესრიგის დამცველი ძალების გადაუწყვეტელი მოქმედების გამართლება „თბილისის სინდრომით", იმ რეაქციით, რაც გამოიწვია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის კრიტიკამ.

საგანგებო სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განმტკიცების გვერდით, აუცილებელია მიღებული პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებისათვის, მით უმეტეს, კაცობრიობისა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, პასუხისმგებლობის მექანიზმი. ასეთი მექანიზმი დღეისათვის არ არსებობს. რა თქმა უნდა, არსებობს თანამდებობრივი დანაშაულის ჩადენის შესაბამისი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსისა, მაგრამ ამასთანავე არსებობს ყველა დონის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მიერ პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების, დაუსჯელობის მრავალწლიანი პრაქტიკაც. ეს არის ჩვენი სამწუხარო ისტორიული რუსული ტრადიცია.

მართალია, შინაგან საქმეთა მინისტრმა თავადმა პ. დ. სვიატოპოლკ-მირსკიმ სულ მალე დაკარგა თავისი თანამდებობა, მაგრამ ეს სულაც არ მომხდარა 1905 წლის 9 იანვრის ამბების გამო. არც სხვა ჩინები დასჯილან, ისინი, ვინც მიიღო და აღასრულა კიდეც გადაწყვეტილება მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტის შესახებ.

როგორ ჰგავს ყველაფერი ეს თბილისის მოვლენებს. უფრო მეტიც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ი. კ. ლიგაჩოვი ამტკიცებდა: თბილისში ჯარის გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პოლიტბიუროს მიერ 7 აპრილს, საღამოს მ. ს. გორბაჩოვის, ე. ა. შევარდნაძისა და ა. ნ. იაკოვლევის მონაწილეობით, აეროპორტში სახელმწიფოს მეთაურის დახვედრის დროს. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: ვინ და როდის თქვა სიმართლე? სად თქვა სიმართლე ლიგაჩოვმა — საპარლამენტო კომისიის წინაშე, თუ იმ ზემოხსენებულ პლენუმზე.

მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ, რაღა თქმა უნდა, აუცილებელია დაისაჯონ ტრაგედიის უშუალო მონაწილეები. მაგრამ განსაკუთრებული ბრალი და პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ, ვინც აშკარა ტყუილს ამბობდა საპარლამენტო კომისიის წინაშე.

მე სავსებით ვეთანხმები სამხედროებისა და პროკურატურის იმ შეფასებას, რაც მოცემულია ჟურნალ „ოგონიოკში" დაბეჭდილ ე. ა. შევარდნაძის ინტერვიუში. თბილისის საქმეში საბოლოო წერტილი ჯერ არ დასმულა. იმედი მაქვს, რომ დიდხანს ლოდინი აღარ მოგვიწევს.

**ანატოლი სობჩაკი,**
**სსრკ სახალხო დეპუტატი გაზეთში „ჩას პიკ" № 7, 9 აპრილი, 1990 წელი.**

# ახალგაზრდა ლიტერატორთა ცენტრის ინფორმაცია

ახალგაზრდა ლიტერატორთა ცენტრთან, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელთან" და ჟურნალ „ნობათთან" ერთობლივად შეიქმნა ლიტერატურული ორდენი „გრაალი".

ორდენის მიზანია ახალგაზრდა მწერალთა ინტერესების დაცვა, მათი ცხოვრებისა და შემოქმედებითი პირობების გაუმჯობესება.

ლიტერატურული ორდენი „გრაალი" სისტემატურად მოაწყობს ლიტერატურისა და პოეზიის საღამოებს, პროპაგანდას გაუწევს ქართულ კულტურას, ასპარეზს გაუხსნის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მცხოვრებ ახალგაზრდა მწერლებს. ტალანტების გამოსავლენად პერიოდულად ჩაატარებს კონკურსებს.

საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემამდე, ორდენის თავდებობით ახალგაზრდა ნიჭიერ ავტორთა ნაწარმოებები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელსა" და ჟურნალ „ნობათში".

ორდენის დროებით საორგანიზაციო კომიტეტში არჩეული არიან:

მერაბ ბალარჯიშვილი, ბაღათერ არაბული, რამინ საჯაია, თემურ ჩალაბაშვილი, რუსუდან გაბროშვილი, ნუკრი ნადარაია, ნინო ხაბეიშვილი, თეიმურაზ ფირცხალაიშვილი, სევერიან ნადირაძე, ოლეგ გველესიანი, გოჩა ხარანაული, ვეფხია ცალუღელაშვილი.

ლიტერატურული ორდენი „გრაალი" ყველა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს უღებს კარს.

ახალგაზრდა ლიტერატორთა ცენტრთან შეიქმნა ასევე მოსწავლეთა სალონი „საპოვნელა", რომლის მიზანია — ეძიოს და ჰპოვოს მწერლური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, ხელი შეუწყოს მათ შემოქმედებით ზრდას, დაბეჭდოს პირველი ნაწარმოებები.

„საპოვნელა" მოაწყობს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: საღამოებს, სემინარებს, ლიტერატურულ კონკურსებს, შემოქმედებით ბანაკებსა და მოგზაურობებს. „საპოვნელასთან" დამეგობრების მსურველებს შეუძლიათ გამოგვეხმაურონ წერილებით, გამოგვიგზავნონ თავიანთი ნაწარმოებები.

**მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ. № 14. „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია. ლიტერატურული გაერთიანება.**

# განცხადება

ოსური ასოციაცია **„რახთძინად"** (**„სიმართლე"**) იწვევს თავის წევრებს და ყველას, ვისაც სურს მისი წევრობა ყოველ ორშაბათს და პარასკევს 6-დან 8 საათამდე. მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა № 2, III სართული.

# ჩემპიონატი მოტობურთში

30 მაისიდან 3 ივნისამდე დოსააფის რესპუბლიკურ მოტოდრომზე ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მოტობურთში და პარალელურად მეათე რესპუბლიკური სპარტაკიადა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, თბილისის „ივერია", ქუთაისის „კოლხიდა", თელავის „კახეთი" და საქართველოს ჰელსინკის კავშირთან არსებული გუნდი „თავისუფლება".

შეჯიბრების გახსნაზე სხვებთან ერთად, სიტყვით გამოვიდა საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვანო ტურაშვილი. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის უპასუხისმგებლობის გამო, სექციები დაიხურა ქალაქ ბათუმში, ახმეტაში, ბოლნისში, წნორში, ფოთში და ა. შ. ძალიან დაბალ დონეზე მიმდინარეობს მუშაობა დღეს არსებულ სხვადასხვა სექციებში. მათ არ გააჩნიათ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ყველაფერი ეს ცუდ გავლენას ახდენს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდზე.

მან წაიკითხა რეზოლუციის პროექტი, სადაც წერია, რომ ყველა ამ პრობლემების გადასაწყვეტად საჭიროა საქართველოში ჩამოყალიბდეს მოტობურთის ასოციაცია, რომელიც იქნება იურიდიული პირი, მორალური და მატერიალური პასუხისმგებელი ორგანიზაცია, საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრებმა აღნიშნეს, რომ ყველანაირად დაეხმარებიან პრობლემების გადასაწყვეტად.

რაც შეეხება შეჯიბრებას, საქართველოს ეროვნული ჩემპიონი გახდა გუნდი „თავისუფლება" (ჰელსინკის კავშირი). საქართველოს მეათე სპარტაკიადის ჩემპიონი — ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს შესაბამისად ქუთაისის „კოლხიდამ" და თბილისის „ივერიამ".

„თავისუფლებამ" საქართველოს ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში დაამარცხა „ივერია", „კოლხიდა", „კახეთი" და ფინალში შეხვდა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს, რომელიც ასევე დაუმარცხებლად გავიდა ფინალში.

მატჩი მეტად დაძაბულად და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა.

ანგარიში გახსნა „თავისუფლებამ" მეორე პერიოდში. წონასწორობა აღადგინა სტუ-ის გუნდის წევრმა ნუკრი მესტვირიშვილმა. მატჩის დამთავრებას აკლდა ერთ წუთზე ნაკლები, როდესაც „თავისუფლების" გუნდის ლიდერმა სიმონ მეზვრიშვილმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**პ. თორელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალორძინება

**გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“**

# ვითომ ეყოფა სამი ხმა?
## ანუ
# რა უნდა სოფლის შენებას

ამ დღეებში ცოტა უცნაური რამ მოხდა ჩვენი გაზეთის ცხოვრებაში — „ახალგაზრდა ივერიელს“, რომელიც სამეურნეო ანგარიშზე რომ იყოს, თვითონაც შეძლებდა სხვის სპონსორობას, თავად გამოუჩნდა სპონსორი — საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“, „ალორძინების“ სასიკეთო საქმიანობის შესახებ უკვე ბევრი რამ იცის საზოგადოებამ, მისი ზოგიერთი სახელის შესახებ კი შეიტყობთ ამ ინტერვიუდან. გვესაუბრება ასოციაციის პრეზიდენტი **პაატა გომელაური.**

●

**— პაატა, აქამდე ცნობილი იყო, რომ საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ უმთავრესი მიზანია დემოგრაფიული თვალსაზრისით მძიმე რეგიონებში ვითარების გაჯანსაღება ამ რეგიონებიდან გადასახლებულ არაქართველთა ბინების შესყიდვის მეოხებით. ახლა იკვეთება, რომ ასოციაციამ უპირველეს ყოვლისა განიზრახა ქართული ნასოფლარების აღდგენა. რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— ამჟამად საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინებას“ თავის უმთავრეს მიზნად დასახული აქვს საქართველოს სასაზღვრო ზოლის გასწვრივ ქართული ნასოფლარების აღდგენა. ამგვარი ნასოფლარების საკმაოდ გრძელი სია გვაქვს შედგენილი, ცალკე კომისია მუშაობს ამ საკითხზე. პირველი სოფელია ხუჯაბის ნასოფლარი, რომელიც მარნეულის რაიონში მდებარეობს, საქართველო-სომხეთის საზღვართან. წინათ აქ ორი სოფელი იყო — ზემო ხუჯაბი და ხუჯაბი, რომელიც ეკუთვნოდათ დედოფლის აზნაურებს ელიარაშვილებს და მოწინავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. აქვეა მე-13 საუკუნის დასაწყისის ძეგლი — ჰუჯაბის ეკლესია, რომელიც შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის ტიპიურ ნიმუშს წარმოადგენს. მკითხველს ალბათ, ახსოვს თქვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილები ამის თაობაზე, 1921 წლამდე საქართველო-სომხეთის საზღვარი ლიქ-ლალვარის ქედზე გადიოდა. მას შემდეგ საზღვარმა ორი ათეული კილომეტრით გადმოიწია ჩვენს მხარეს, რაღა თქმა უნდა, არაკანონიერად. ჰუჯაბის ეკლესია 200 მეტრით იქით აღმოჩნდა — ვითომდა სომხეთის მიწაზე. ჰუჯაბის კუთვნილება ჩვენთვის საეჭვო არ არის, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს რეგიონი არაქართული ორიენტაციისაა, იმდენად, რომ მისი სავაჭრო მომარაგებაც კი სომხეთიდან ხდება. ჰუჯაბის ეკლესიასთან ახლოს მდებარეობს სოფელი ახკერპი, რომელიც მთლიანად სომხებით არის დასახლებული. საჭიროდ მიგვაჩნია აქ ქართული ელემენტის გაჩენა. ალბათ, აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში შვიდი მთავარი გზა შემოდის სხვა რესპუბლიკებიდან და ამ გზაზე პირველი სოფლები არც ერთი არ არის ქართული...

**— როგორ წარმოგიდგენიათ ალორძინებული ჰუჯაბი?**

— ჰუჯაბი ახალი ტიპის სოფელი იქნება, პროფესიული სოფელი — ერთი პროფესიის ხალხით დასახლებული. სოფელში უნდა იყოს მცირე სიმძლავრის რაიმე საწარმო, რომელსაც მოემსახურება ის 33 ოჯახი, რომელიც ჰუჯაბში იცხოვრებს. საწარმოს პროფილი ჯერ არ დაგვიდგენია. ასეთი საწარმოს არსებობა სოფლად იმ ხალხის დასაქმების პრობლემას გადაწყვეტს, ვისაც სოფლის მეურნეობაში არ სურს მუშაობა და ერთგვარად თბილისის განტვირთვასაც შეუწყობს ხელს. გვინდოდა სახლები უფასოდ გადაგვეცა, მაგრამ იმან შეგვაფიქრიანა, რომ შესაძლებელია ასე მუქთად მიღებული სახლები მეორე დღესვე მიჰყიდონ არაქართველ მოსახლეობას (რომელიც, ვფიქრობთ, ფულს არ დაიშურებს საამისოდ) და ისევ თავიანთ ძველ საცხოვრისს დაუბრუნდნენ. ამიტომ ამ სახლებს გადავცემთ ასწლიანი კრედიტით.



თითოეულ კომლს მიეცემა 1,4 ჰექტარი სამოსახლო და ამას გარდა სავარგული, იმისდა მიხედვით, თუ სოფლის მეურნეობის რომელი დარგი განვითარდება. სხვათა შორის, იქ დასახლების მსურველი უკვე საკმაოდ ბევრია, -იქნებ, კონკურსის მოწყობაც კი დაგვჭირდეს.

ერთი რამეც. ჰუჯაბი არ დაექვემდებარება ალმასკომს. იგი იქნება თვითმმართველობაზე აგებული სოფელი. ეს ფორმა ტრადიციულად ახასიათებდა ქართულ სოფელს.

**— რა ეტაპზეა სოფლის შენების საქმე?**

— როგორც ზემოთ ვთქვი, ჰუჯაბი 33-კომლიანი იქნება. წელს აშენდება 15 სახლი. ამჟამად მიმდინარეობს გზის გაყვანა. მას ახორციელებს სამშენებლო სამმართველო „კავგვირაბმშენი“.

ჩატარებულია ტოპოგადაღებები, ჰიდრო-გეოლოგიური გამოკვლევები. სოფლის განაშენიანების პროექტი შეიმუშავეს საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტში“. დასახლების პროექტის ავტორები არიან ლილი მჭედლიშვილი და ზურაბ ღონღაძე, საცხოვრებელი სახლებისა — ლილი მჭედლიშვილი და ნუგზარ დვალი. სამი უბანი იქნება, სამი ტიპის სახლებით და ეს სახლები სხვადასხვა კუთხით ჩაიდგმება, რომ სოფელს ერთფეროვანი, უღიმღამო იერი არ მიეცეს. სოფლის შუაგულში მოეწყობა საზოგადოებრივი ცენტრი.

**— პაატა, რა სახსრებით აპირებთ თქვენი მიზნების განხორციელებას?**

— „ალორძინება“ ამ ერთი წლის წინათ შეიქმნა და ძირითადად შემოწირულების იმედით ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს ბევრი საქველმოქმედო ორგანიზაცია არსებობს და ყველა მათგანს უმართავს ხელს კეთილმოსურნე და გულუხვი კაციც და ორგანიზაციაც, „ალორძინების“ სალაროში საკმაო თანხა დაგროვდა. მერე ერთი ხანობა ამ შემოწირულებამ იკლო და გადავწყვიტეთ ჩვენი საკუთარი საწარმო გაგვეხსნა, მაგრამ ქვეყნის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა არ გვაძლევს ამის გაკეთების საშუალებას. გვაქვს გახსნილი ფირმები, მაგრამ ისინიც იგივე პრობლემებს აწყდებიან. ამის გამო გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ასოციაციასთან გაერთიანებული ყველა კოოპერატივი გავიდეს „ალორძინებიდან“, რადგან ჩვენ ჯერჯერობით არ ვართ მზად სხვადასხვა პროფილის მქონე კოოპერატივებთან ურთიერთობის დასამყარებლად.

სხვათა შორის, ასოციაცია საგარეო ვაჭრობის მონაწილეც არის, აქვს სავალუტო ანგარიში, მაგრამ ის ფაქტი, რომ შემოსული ვალუტის თითქმის 70 პროცენტი სახელმწიფოს რჩება, ყოველგვარ სტიმულს გვიკარგავს.

„ალორძინებასთან“ არსებობს კომერციული ფირმა „არგო“, რომლის ძირითადი მიმართულებაა ბეჭდვითი სიტყვა და მასობრივი ინფორმაცია (საკაბელო ტელევიზია), მაგრამ მასაც ვერ გაეხსნა ბოლომდე ხელ-ფეხი ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარების გამო. ასე რომ, ამ ეტაპზე ისევ შემოწირულების იმედით ვართ, თუმცა ვიწყებთ ლატარიის გათამაშებასაც — ეს არის სპორტპროგნოზი „არგო-X“, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ეხება. სურვილი გვაქვს, რომ მეორე წრიდან დაიწყოს ლატარიის გათამაშება.

გვყავს ფეხბურთის გუნდი, რომელსაც გია მაყიშვილი ხელმძღვანელობს. გუნდი თბილისის ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გამოდის და, გამოუცდელობის მიუხედავად, საკმაო წარმატებებიც აქვს. კარგი იქნება თუ ამ ახალგაზრდული გუნდის სპონსორობას იკისრებს რომელიმე ძლიერი საწარმო.

ალბათ, თავშივე უნდა თქმულიყო, რომ სოფელი ჰუჯაბი იქნება 9 აპრილს დაღუპულთა ცოცხალი მემორიალი. ეს აზრი მოგვაწოდა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და მისსავე ლოცვა-კურთხევით გაკეთდა ეს საქმე. ცხრა აპრილს დაღუპულთა მემორიალის ფონდმა მილიონი მანეთი ჩარიცხა ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.

პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს ისტორიაში პირველად უნდა გამოგვეცა საქართველოს ეპარქიების რუკა. ასოციაციამ ხელშეკრულება დადო კარტოგრაფიის ფაბრიკასთან, თანხაც გადაირიცხა, ნიმუშიც დამზადდა, ქაღალდის ფონდიც გამოიყო, რუკა უკვე ხელმოწერილი იყო დასაბეჭდად, მაგრამ ქაღალდი „გაქრა“. ჯერჯერობით თავს ვიკავებთ არბიტრაჟში სარჩელის აღძვრისაგან. თუმცა მსგავსი სარჩელის მოგების პრაქტიკა უკვე გვაქვს. მაგალითად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს ჯარიმის სახით 60200 მანეთი გადავახდევინეთ. იმის გამო, რომ მათი მიზეზით ამდენივე თანხა დავკარგეთ. ჩვენ გვეგონა, ასეთი რამ აღარ განმეორდებოდა, მაგრამ მოგვდის წერილები, რომ ჩვენთვის გადმორიცხული თანხის ნაწილი კვლავ მიდის ცენტრალურ კომიტეტთან ამ ცოტა ხნის წინათ შექმნილი და უკვე ლიკვიდირებული „ალორძინების“ სახელზე.



**— ამბობენ, რომ ქალაქის კულტურის სამმართველომ თქვენს ასოციაციას გადმოსცა გრაფ მუშტაიდის პირადი ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნებით. სად აპირებთ ამ წიგნების დაბინავებას, თქვენი ხომ ასოციაციისათვისაც კი არა გაქვთ თავშესაფარი?**

— ამ წიგნების ბედი მართლაც ძალზე დამაფიქრებელია — ეს არის უნიკალური გამოცემები, შესაფერისი შენობის გამონახვის შემთხვევაში გაიხსნებოდა ბიბლიოთეკა, რომელიც კარგ სამსახურს გაუწევდა დაინტერესებულ პირებს. მინდა მკითხველთა გასაგონად ვთქვა, რომ თუ ვინმეს შინ აქვს ძველი, უნიკალური გამოცემები, დაგვიკავშირდეს. ჩვენ მათ კარგ პირობებს შევთავაზებთ, — ან გაცვლას, ან შესყიდვას მათთვის სასურველ ფასში.

რაც შეეხება ასოციაციის თავშესაფარს, მართლაც ძალიან ცუდ პირობებში გვიხდება მუშაობა. ერთხანს მწვანეებთან ვიყავით შეკედლებულები, მერე ხან გამგეობის წევრების ბინებში ვიკრიბებოდით და ხან—სადაც მოგვიხერხდებოდა. ასეა ახლაც.

**— ასოციაციის ეკონომიკურ მდგომარეობას ხომ არ გააუმჯობესებდა ლისის პარკის თქვენთვის გადმოცემა ბალანსიდან ბალანსამდე? როგორც ვიცი, ლისის პარკის შრომითმა კოლექტივმა და იქვე არსებულმა ომის ვეტერანთა და პარტიზანთა კლუბმა წერილი გაგზავნა მთავრობაში და ითხოვა თქვენს ასოციაციაში შემოსვლა.**

— ეს საქმე ორმხრივ სასარგებლო მგონია. ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობაც გაუმჯობესდებოდა და ლისის ტბის მიდამოებსაც მივხედავდით, შევეცდებოდით. რომ იქ უფრო უკეთესი პირობები ყოფილიყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იმ მიდამოებში საკმაოდ მომძლავრებულია არაქართველი მოსახლეობა. სასურველია, ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დროულად მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხის მოსაგვარებლად.

**— პაატა, ახლა იმის შესახებ, თუ რისთვის გამოიყენებთ ჩვენი გაზეთის მერვე გვერდს.**

— ძირითადად რეკლამებისათვის...

**— გვაქვს კი იმდენი რამე სარეკლამო, რომ „ახალგაზრდა ივერიელის“ ბოლო გვერდზე ამგვარი მასალები მალე არ გამოგველიოს?**

— გვაქვს და თუ ბევრს არ სმენია ამის შესახებ, ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენ რეკლამის ფასი არ ვიცით. უცხოეთში გაყიდული პროდუქციის დიდი ნაწილი რეკლამის დამსახურებაა. რეკლამა ისეთ პროდუქციასაც კი უნდა უკეთდებოდეს, რომელსაც ერთი შეხედვით რეკლამა არ ჰირდება. მაგალითად, ლაღიძის წყალს რომ რეკლამა გაუკეთო, დარწმუნებული ვარ, ერთი-ორად მაინც იმატებს ხალხი ლაღიძის წყლის საფირმო დარბაზებში, თუმცა ლაღიძის წყალს მართლაც არ სჭირდება რეკლამა (გასაღების თვალსაზრისით). მკითხველების გასაგონად ვამბობ, რომ ამიერიდან ეს გვერდი ასოციაცია „ალორძინებას“ ეკუთვნის და ვისაც უნდა, მოგვმართოს. ჩვენ ვართ „ილუზიონის“ სპონსორებიც და ტელევიზიის მეშვეობითაც შეგვიძლია გავუწიოთ რეკლამა ნებისმიერ საწარმოსა თუ ორგანიზაციას. ნუ დაივიწყებთ, რომ „ილუზიონის“ დაწყების დრო საუკეთესოა აუდიტორიის შეკრების თვალსაზრისით, ამავე დროს ძალზე პრესტიჟული, ამიტომ საკმაოდ ძვირიც დაჯდება ამ დროს რეკლამის გადაცემა. მაგრამ ის, ვისაც პატივმოყვარეობა ჯერჯერობით სალანძღავ სიტყვად არ მიაჩნია, ალბათ, არ დაზოგავს არც თავს და არც სახსრებს თავისი საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის რეკლამისათვის, რაც უთუოდ ისეთ მოგებას მოუტანს, რომ რეკლამისათვის დახარჯული თანხა ზღვაში წვეთად მოეჩვენება.

სათქმელი კიდევ დაგვრჩა, მაგრამ ამაზე შემდგომ ვისაუბროთ.

ესაუბრა
**გულნარა ბაშარული**

**ამ გვერდზე გამოქვეყნებული მასალების ჰონორარი გადაირიცხება სოფ. ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში, ასოციაცია „ალორძინების“ ანგარიშზე 100700508 მთაწმინდის რაიონის ბინსოცბანკში.**

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-21-56;
წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
**ზურაბ გალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, ვ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით სავაჟოთ კორპუსში, ხომერაულის № 29 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400 უე 00296

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380008
ვ. კოსტავას ქ. № 14.